ყვარლის მუნიციპალიტეტის „მედია ცენტრის“ გაზეთი
2017 წელი, 27 მარტი, №6 (6443)

# ყვარელი

გამოდის 1932 წლიდან
ფასი 40 თეთრი



## კახეთის გუბერნატორმა ჟურნალისტებს პროფესიული დღესასწაული მიულოცა

21 მარტს, ქართული ჟურნალისტიკის დღე აღინიშნება, რომელსაც 1993 წელს ჩაეყარა საფუძველი საქართველოს ჟურნალისტთა ფედერაციის და თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტის ძალისხმევით, ეს დღე უკავშირდება „ქართული გაზეთის“ პირველი ნომრის გამოცემას.

ამ დღეს, კახეთის რეგიონის მედიის წარმომადგენლებს შეხვდა და პროფესიული დღესასწაული მიულოცა კახეთის გუბერნატორმა ირაკლი ქადაგიშვილმა. მან ვრცლად ილაპარაკა ჟურნალისტური საქმიანობის სირთულეებზე, ღირებულებებზე და ამოცანებზე, რიომელიც მათ უნდა შეასრულონ ქვეყნის აღმშენებლობისათვის მიმდინარე საქმიანობაში. ასევე ხაზგასმით მიანიშნა, რომ მნიშვნელოვანია სიტყვის გამოხატვის თავისუფლება ქვეყანაში დემოკრატიის განვითარებისათვის.

შეხვედრის დასასრულს კახეთის გუბერნატორმა ირაკლი ქადაგიშვილმა და ქ. თელავის მერმა პლატონ კალმახელიძემ სიმბოლური საჩუქრები გადასცეს ჟურნალისტებს.

**ალექსანდრე გიგილოშვილი**

## სოფელი შილდა და პორტუგალიური სოფელი კუბა დამეგობრდნენ

პორტუგალიაში საქართველოს საელჩოს ხელშეწყობითა და ინიციატივით საქართველოს, კერძოდ კი ყვარლის რაიონს ეწვია პორტუგალიის დელეგაცია ალენტეჟუს რეგიონის სოფელ კუბას მერის ხელმძღვანელობით. ვიზიტი მიზნად ისახავდა ორი სოფლის დამეგობრებას და ამ ფორმით სამომავლო თანამშრომლობის საკითხების განხილვას.

ვიზიტის ფარგლებში ხელი მოწერა „ურთიერთგაგების მემორანდუმს საქართველოში ყვარლის რაიონის სოფელ შილდასა და პორტუგალიის რესპუბლიკის ალენტეჟუს რეგიონის სოფელ კუბას შორის“. დოკუმენტს საზეიმო ვითარებაში ხელი მოაწერეს ყვარლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ ჯემალ შავერდაშვილმა და მერმა ჟოაუ მანუელ პორტუგეშმა.

პორტუგალიის დელეგაციის წევრებმა შეხვედრები გამართეს კახეთის გუბერნატორთან ირაკლი ქადაგიშვილთან და ყვარლის მუნიციპალიტეტის თანამშრომლებთან. მხარეებმა გამოხატეს სურვილი და მზადყოფნა სამომავლოდ კულტურული და ეკონომიკური ურთიერთობების გაღრმავების თაობაზე.

საქართველოში ვიზიტის ფარგლებში პორტუგალიელი სტუმრები სოფელ შილდის მოსახლეობას შეხვდნენ, დაათვალიერეს მუნიციპალიტეტის მიერ ბოლო პერიოდში განხორციელებული პროექტები, ეწვივნენ ილიას მუზეუმს, ილიას გორას, ნეკრესისა და გრემის მონასტრებს და მოინახულეს რამდენიმე ღვინის ქარხანა. აღსანიშნავია, რომ ალენტეჟუს რეგიონი და სოფელი კუბა განთქმულია მეღვინეობით, მათ შორის აქ იწარმოება ქვევრის ღვინო. ასევე ალენტეჟური ხალხური სიმღერა (ჩანტე ლენტეჯანო) იუნესკოს მიერ აღიარებულია მსოფლიოს არამატერიალურ კულტურის ძეგლად. ეს ორი ძირითადი კომპონენტი საქართველოსა და პორტუგალიის ამ სოფლებს ერთმანეთთან მჭიდროდ აკავშირებს.

ვიზიტის ფარგლებში სტუმრებმა მონაწილეობა მიიღეს სპეციალურად მათთვის დაგეგმილ კულტურულ ღონისძიებაში, გაეცნენ პურის ცხობისა და ჩურჩხელის ამოვლების ტექნოლოგიებს, სპეციალურად მათთვის ბავშვთა ფოლკლორული ანსამბლის მიერ შესრულდა ხალხური სიმღერები.

პორტუგალიის დელეგაციის შემადგენლობაში იყვნენ სოფელ კუბას მერი ჟოაუ მანუელ პორტუგეში, გამგებელი სანდრა ბრაზი და უფროსი თანაშემწე დულსე ლოპეში.




## შეხვედრა, რომელიც კოოპერატივების ჩამოყალიბება-განვითარებას შეუწყობს ხელს

9 მარტს ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო მუზეუმის სხდომათა დარბაზში სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტოს თავმჯდომარე გიორგი მიშელაძე შეხვდა ყვარლის მუნიციპალიტეტის მევენახე ფერმერებს, ყვარლის მუნიციპალიტეტის გამგეობის წარმომადგენლებს სოფლებიდან, გამგეობის სოფლის მეურნეობის სამსახურის თანამშრომლებს, ინტელიგენციის წარმომადგენლებს, შეხვედრის ორგანიზება სამუშაოები მოახდინა საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ყვარლის საკონსულტაციო სამსახურმა და მისმა ხელმძღვანელმა მამუკა ბერიაშვილმა.



გიორგი მიშელაძემ ილაპარაკა მევენახეობის სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების სახელმწიფო პროგრამის მნიშვნელობაზე. კერძოდ, მან აღნიშნა, სამწუხაროდ არასწორი წარმოდგენა აქვთ კოოპერატივებზე, ფიქრობენ, რომ სახელმწიფოსგან უნდა მიიღონ ფინანსური და ტექნიკური დახმარება, მაგრამ კოოპერატივების შექმნით ადამიანების ჯგუფს ეძლევა საშუალება ბევრი სიკეთით ისარგებლონ, კოოპერატივები არ იბეგრებიან და ეს უდიდესი შეღავათია. კოოპერატივში გაერთიანებულ 20 მეპაიეს ერთი მძლავრი ტრაქტორის შეძენა სჭირდება და არა თხუთმეტის, ერთი მექანიზატორი მოემსახურება ვენახის მთლიან ფართობს და ხარჯებიც მაქსიმალურად შემცირდება. კოოპერატივში ყველა ერთნაირი უფლებებით და ვალდებულებებით სარგებლობს. პროგრამის მიზანია, რომ რაც შეიძლება მეტი ოჯახები გაერთიანდნენ კოოპერატივებში. პროგრამა ითვალისწინებს 100 ტონა ყურძნის გადამუშავებისათვის სრული აღჭურვილობის გადაცემას, თუ კოოპერატივს საკუთრებაში გააჩნია ღვინის საწარმოსათვის განკუთვნილი შენობა-ნაგებობა ან მიწის ნაკვეთი.

როგორც სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტოს თავმჯდომარემ გიორგი მიშელაძემ აღნიშნა, პროგრამაში მონაწილე კოოპერატივის წევრებს საშუალება მიეცემათ ახლა უკვე არა მხოლოდ ყურძნის, არამედ უკვე ღვინის რეალიზაციიდან მიიღონ სარგებელი.

სახელმწიფო პროგრამაში მონაწილეობისათვის დადგენილი პირობების თანახმად, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის წევრთა რაოდენობა უნდა შეადგენდეს არანაკლებ 20 მეპაიეს. სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივს, ანდა მისი მეპაიეებს საკუთრებაში უნდა გააჩნდეთ არანაკლებ 20 ჰექტარი ვენახი, რომელშიც გაშენებული უნდა იყოს ვაზის შემდეგი ჯიშები: რქაწითელი, საფერავი, მწვანე, ხიხვი, ქისი, ჩინური, ცოლიკაური, ციცქა, კრახუნა, ალექსანდროული, ოჯალეში, ჩხავერი, ალადასტური, უსახელოური, მუჯურეთული, წულუკიძის (რაჭული) თეთრა.



სახელმწიფო პროგრამა მოიცავს ტექნიკურ დახმარებასაც, რომლის ფარგლებში სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებს ჩაუტარდებათ სწავლება, როგორც ღვინის საწარმოს ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ ტექნიკურ და მეთოდოლოგიურ საკითხებზე, ისე საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ სხვა სპეციფიკურ მოთხოვნებთან დაკავშირებით.

მევენახეობის სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამა საპილოტე პროექტია, რომლის ფარგლებში გაიცემა არანაკლებ 3 ერთეული საწარმოსათვის საჭირო აღჭურვილობა. პროექტის ბიუჯეტი 1 მილიონ ლარს შეადგენს.

თუ კოოპერატივი 100 ტონაზე მეტ ყურძენს მოიყვანს, მას შეუძლია რეალიზაცია გაუკეთოს, ანდა იფიქროს მოცულობის გაფართოებაზე. სახელმწიფო პროგრამა არ ითვალისწინებს ჩამოსასხმელი ხაზის დაფინანსებას.

შეხვედრის მონაწილეებმა ილაპარაკეს პრობლემებზე, რომლებიც ხელს უშლიან კოოპერატივების ჩამოყალიბებას. დაყენებულ პრობლემებზე და შეკითხვებზე ამომწურავი პასუხები მიიღეს გიორგი მიშელაძისგან.

**ალეკო ქაფიანიძე**

## 21 მარტს დაუნის სინდრომის მსოფლიო დღეა!

2011 წლის 10 ნოემბერს გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ 21 მარტი დაუნის სინდრომის დღედ გამოაცხადა. სიტყვა „დაუნის სინდრომი“ექიმ ჯონ ლანგტონ დაუნის სახელს უკავშირდება. მან 1866 წელს პირველად აღწერა ამ სინდრომისათვის დამახასიათებელი ტიპიური ნიშნები.

დაუნის სინდრომს ასევე ტრისომია 21 ჰქვია, რადგან ამ სინდრომის მქონე ადამიანებს ყველა უჯრედში, 46-ის ნაცვლად, 47 ქრომოსომა აქვთ.

დაუნის სინდრომის წარმოშობის მიზეზი დაუდგენელია. ყოველ 800 ბავშვში ერთი დაუნის სინდრომით იბადება.

დაუნის სინდრომი დაავადება კი არა, გენეტიკური ცვლილებაა, იგი არც მემკვიდრეობითია და არც გადამდები. დაუნის სინდრომის მქონე ბავშვი შესაძლებელია ეყოლოს ნებისმიერ ადამიანს სოციალური კუთვნილების, რასისა და ასაკის მიუხედავად.

დაუნის სინდრომის მქონე ადამიანები საკუთარი შესაძლებლობების, ტემპის მიხედვით სწავლობენ და ვითარდებიან. ამ ტიპის ადამიანების გონებრივი და სოციალური შესაძლებლობები ჯერ კიდევ არ არის სათანადოდ შეფასებული.

ამ დღის არსებობა გამოწვეულია სწორედ დაუნის სინდრომის მქონე პირთა მიმართ არსებული სტიგმებისა და სტერეოტიპების შეცვლის მიზნით და მას მთელი მსოფლიო აღნიშნავს. მიუხედავად იმისა, რომ ცივილიზებული სამყარო ძალიან ბევრს შრომობს დაუნის სინდრომის მქონე პირთა სრულფასოვან ინტეგრაციასა და ჰარმონიულ თანაცხოვრებაზე საზოგადოებაში, პრობლემები საზოგადოების მხრიდან სტიგმები და გაუცხოება მაინც არსებობს. განსაკუთრებით მწვავე მდგომარეობაა საქართველოში, დღემდე სამშობიარო სახლებში გვაქვს შემთხვევები, როცა მედპერსონალი მშობლებს ბავშვის ინსტიტუციაში დატოვებას ურჩევს და დღემდე გვაქვს ბავშვთა ჩვილობაში მიტოვების ფაქტები. თავად სიტყვა „დაუნი“ ჯერ ისევ გამოიყენება სამეტყველო ენაში დამაკნინებელ კონტექსტში. რასაც ადასტურებს თუნდაც სხვადასხვა პირების მხრიდან სიძულვილის ენით გაკეთებული განცხადებები. 2017 წლის 21 მარტის მესიჯია „ჩემი ხმა საზოგადოებაში“.





კახეთის სამხარეო განვითრების პროგრამის ინიციატივით 21 მარტს – დაუნის სინდრომის მსოფლიო დღეს საინფორმაციო შეხვედრა გაიმართა პრესის წარმომადგენლებთან.

კახეთის სამხარეო განვითარების პროგრამის „ბავშვთა კეთილდღეობისათვის“ მენეჯერმა ნანა ათუაშვილმა შეხვედრა გახსნა და ილაპარაკა დაუნის სინდრომის და კამპანიის მნიშვნელობის შესახებ.

გაგრძელება მე-2 გვ. -ზე

# 21 მარტს დაუნის სინდრომის მსოფლიო დღეა!



დასაწყისი 1-ელ გვ.-ზე

მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ დაუნის სინდრომის მქონე ადამიანებს აქვთ უფლება გამოთქვან საკუთარი აზრი, მოუსმინონ მათ და იქონიონ ზეგავლენა სახელმწიფო პოლიტიკის ფორმირებასა და განხორციელებაში, რაც უზრუნველყოფს სრულ ჩართულობას საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

თბილისის სათაო ოფისის ნეიროფსიქოლოგმა ვიქტორია მიდელაურმა ვრცლად ილაპარაკა მედიის როლზე, რომლის უპირველესი მიზანია ზეგავლენა მოახდინოს საზოგადოებრივ აზრზე, ჩამოაყალიბოს ნორმები, შეცვალოს საზოგადოებრივი ცნობიერება, შეცვალოს სტიგმა და ა.შ.

განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ტერმინების გამოყენებას:

1. უნდა ვიხმაროთ ინტელექტუალურად შეზღუდული შესაძლებლობის და არა გონებრივად ჩამორჩენილი;

2. შეზღუდული შესაძლებლობით დაბადებული ადამიანი (თანდაყოლილი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანი) და არა თანდაყოლილი ნაკლი ან დეფორმაცია;

3. მხედველობა დაქვეითებული ადამიანი (უსინათლო ადამიანი) და არა ბრმა;

4. ხელმისაწვდომი პარკირება და არა ინვალიდის პარკირება;

5. პიროვნება (ადამიანი) და არა პაციენტი;

6. შეზღუდვის არმქონე ადამიანი და არა ჯანმრთელი ადამიანი;

7. სმენადაქვეითებული ადამიანი და არა ყრუ.

ეს ტერმინები ეთიკურად მისაღებია და არ არის შეურაცხმყოფელი.

როდესაც დაუნის სინდრომის თემაზე ვსაუბრობთ, უმჯობესია გამოვიყენოთ სიტყვები დაუნის სინდრომის მქონე და არა დაუნიზმით დაავადებული ადამიანი ან დაუნი.

მცდარია მოსაზრებები, რომ დაუნის სინდრომის მქონე ადამიანების სიცოცხლის ხანგრძლივობა ნაკლებია, რომ დაუნის სინდრომის მქონე ბავშვებს მხოლოდ ასაკოვანი მშობლები აჩენენ, რომ დაუნის სინდრომის მქონე ადამიანები ვერ ვითარდებიან და თავს ყოველთვის ბედნიერად გრძნობენ.

ამ სინდრომის მქონე ბავშვები ჩვეულებრივ დადიან ბაღებსა და სკოლებში, სწავლობენ წერა-კითხვას, უყვართ მუსიკა, მოგზაურობა და დღესასწაულების აღნიშვნა.

კახეთის სამხარეო განვითარების პროგრამის მიერ ორგანიზებულ ღონისძიებას ყვარლის მუნიციპალიტეტიდან ესწრებოდნენ ყვარლის მუნიციპალიტეტის გამგეობის საზოგადოებასთან ურთიერთობის და საინფორმაციო განყოფილების უფროსი ნინო ხუციშვილი, მედიასთან ურთიერთობის და საინფორმაციო საკითხების მთავარი სპეციალისტი ლია რუსიაშვილი, ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა განყოფილების მთავარი სპეციალისტი ქეთევან სეფაშვილი.

**ალექსანდრე გიგილოშვილი**



# 12 პროდუქტი, რომელთა შენახვაც მაცივარში არ შეიძლება

ფიქრობთ, რომ მაცივარი ყველა პროდუქტს ინახავს? არამც და არამც... ბევრ პროდუქტს დაბალი ტემპერატურა და სინესტე, პირიქით, აფუჭებს.

გთავაზობთ 12 პროდუქტს, რომელთათვისაც მაცივარი შესანახ ყუთად არ გამოდგება და მათ სიქორფეს და პირვანდელ გემოს დაუკარგავს.

მაშ, რომელი პროდუქტების შენახვა არ ღირს მაცივარში და რატომ?

**სტაფილო და კარტოფილი.** ეს პროდუქტები ვერ იტანენ სიცივეს და სინესტეს. ისინი იწყებენ ლპობას, გაყვავებას ან ჭკნობას. ამიტომაც აჯობებს, სტაფილო და კარტოფილი შეინახოთ გრილ და ბნელ ადგილას.

**ხახვი.** ალბათ, ცოტას თუ მოსდის თავში, შეინახოს ხახვი მაცივარში, მაგრამ თუკი ასეთი ფანტაზია მაინც დაგებადებათ, იცოდეთ – მაცივრის სინესტეში ეს პროდუქტი მალე დალპება. ხახვის შენახვა უმჯობესია ბნელ და მშრალ ადგილას.

სხვათა შორის, მაცივრის გარეთაც ხახვის მოთავსება კარტოფილთან ახლოს არ ღირს, რადგან ეს უკანასკნელი ირგვლივ ნესტიან გარემოს ქმნის და ხახვი ლპობას დაიწყებს.

**ნიორი.** საერთოდ არ უყვარს სიცივე. ამიტომაც შეინახეთ ის მშრალ, ოთახის ტემპერატურის ადგილას, ღია სივრცეში.

**პომიდორი.** ეს პროდუქტი – სითბოს მოყვარულია. ნულთან მიახლოებულ ტემპერატურაზე ის კარგავს თავის მკვეთრ არომატს და გამომშრალი ხდება. პომიდვრის შენახვა უმჯობესია ოთახის ტემპერატურაზე – დაახლოებით 17 გრადუსზე და არა დახურულ სივრცეში.

**ბადრიჯანი.** პომიდვრის ნათესავს, ბადრიჯანსაც არ უყვარს სიცივე. ის მაცივარში მალე ჭკნება და უჩნდება შავი ლაქები.

**ეგზოტიკური ხილი.** ტროპიკული ხილის შენახვაც ოთახის ტემპერატურაზე აჯობებს და კიდევ უკეთესი იქნება, თუ მათ ქაღალდში გაახვევთ და ისე შეინახავთ. სიცივეში ეს პროდუქტები ლპება და უშვებს სხვა პროდუქტებისთვის მავნე გაზებს.

**ბანანი.** მაცივარში შენახვის შემთხვევაში ბანანის კანი მალე შავდება. თუმცაღა, რბილობს ეს პროცესი დიდად არ ეხება.

**ვაშლი და მსხალი.** ამ ხილის შენახვაც არ ღირს სიცივეში. შემოდგომით ვაშლი შეგიძლიათ ჩაალაგოთ ყუთში და დადგათ აივანზე, სადაც მის გარშემო იმოძრავებს ჰაერი. მაგრამ ყინვა ხილს არ უყვარს. ასე რომ, როგორც კი სიცივეები დაიწყება – შემოიტანეთ ის შინ.

# მოსახლეობის და იურიდიული პირების საყურადღებოდ!

მუნიციპალიტეტის მოსახლეობას და იურიდიულ პირებს შევახსენებთ , რომ საქართველოს კანონი ნარჩენების მართვის კოდექსში შეტანილი ცვლილებები (მუხლი 31), რომელიც შეეხება მუნიციპალური ნარჩენებით გარემოს დანაგვიანებას, – ითვალისწინებს ჯარიმებს. აქედან გამომდინარე, ყვარლის მუნიციპალიტეტის გამგეობამ ხეობებსა და გზისპირებში დაამონტაჟა მაჩვენებელი ნიშნები, რომელიც კრძალავს საყოფაცხოვრებო ნარჩენებით აღნიშნული ტერიტორიების დაბინძურებას.

1. 2 კგ-მდე მუნიციპალური ნარჩენით გარემოს დანაგვიანება – გამოიწვევს დაჯარიმებას 80 ლარის ოდენობით.

2. იგივე ქმედება, ჩადენილი საცხოვრებელი სახლიდან ან სხვა შენობა-ნაგებობიდან, – გამოიწვევს დაჯარიმებას 100 ლარის ოდენობით.

3. იგივე ქმედება, ჩადენილი ავტოსატრანსპორტო საშუალებიდან, – გამოიწვევს მძღოლის, ხოლო საზოგადოებრივი ტრანსპორტის შემთხვევაში – შესაბამისი დამრღვევის დაჯარიმებას 120 ლარის ოდენობით.

4. 5 ერთეულამდე საბურავით (გარდა ველოსიპედის საბურავისა) გარემოს დანაგვიანება – გამოიწვევს დაჯარიმებას 150 ლარის ოდენობით.

5. 5 ერთეული ან 5 ერთეულზე მეტი საბურავით (გარდა ველოსიპედის საბურავისა) გარემოს დანაგვიანება – გამოიწვევს დაჯარიმებას 500 ლარის ოდენობით.

6. 2 კგ-მდე ბატარეის, აკუმულატორის, ელექტრონათურის, ელექტროსაქონლის, გრაფიტის ელექტროდის, ბასრი ან მჩხვლეტავი საგნის (მათ შორის, შუშის ნამსხვრევის, ლურსმნის ან სხვა მსგავსი საგნის) ნარჩენით გარემოს დანაგვიანება – გამოიწვევს დაჯარიმებას 100 ლარის ოდენობით.

7. 2 კგ ან 2 კგ-ზე მეტი მუნიციპალური ნარჩენით გარემოს დანაგვიანება (გარდა ამ მუხლის მე-8 ნაწილით გათვალისწინებული შემთხვევისა) – გამოიწვევს ფიზიკური პირის დაჯარიმებას 150 ლარის ოდენობით, იურიდიული პირის დაჯარიმებას 500 ლარის ოდენობით.

8. 1 მ3-ზე მეტი მოცულობის მუნიციპალური ნარჩენით გარემოს დანაგვიანება – გამოიწვევს ფიზიკური პირის დაჯარიმებას 300 ლარის ოდენობით, იურიდიული პირის დაჯარიმებას 1000 ლარის ოდენობით.

9. დიდი მოცულობის ნარჩენით (მათ შორის, სატრანსპორტო საშუალების, ელექტრო – ან ელექტროტექნიკური დანადგარის, სამშენებლო დანადგარის ან სხვა მსგავსი მოწყობილობის) გარემოს დანაგვიანება – გამოიწვევს ფიზიკური პირის დაჯარიმებას 500 ლარის ოდენობით, იურიდიული პირის დაჯარიმებას 1500 ლარის ოდენობით.

შენიშვნა:

1. ნარჩენი ითვლება ამ მუხლის მე-9 ნაწილით გათვალისწინებულ დიდი მოცულობის ნარჩენად, თუ იგი 2 მ2-ზე მეტ ფართობს ფარავს.

2. თუ ამ მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული ავტოსატრანსპორტო საშუალების (გარდა საზოგადოებრივი ტრანსპორტისა) სალონიდან საყოფაცხოვრებო ნარჩენების გზაზე დაყრის შემთხვევაში ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ფაქტზე საპატრულო პოლიციელმა, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს ან სამინისტროს სისტემაში შემავალი დაწესებულების უფლებამოსილმა თანამშრომელმა ადგილზე არ შეადგინა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ ოქმი (საჯარიმო ქვითარი) ან ავტოსატრანსპორტო საშუალების მძღოლს არ შეუფარდა ადმინისტრაციული სახდელი და ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ფაქტი დაფიქსირებულია ვიდეოფირზე ან/და ფოტოფირზე, ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ჯარიმის გადახდა დაეკისრება ავტოსატრანსპორტო საშუალების მესაკუთრეს, რომელსაც ადმინისტრაციული სახდელის დადების შესახებ დადგენილება გაეგზავნება რეგისტრაციის ადგილის მიხედვით.

3. ამ მუხლის პირველი–მე-7 ნაწილებით გათვალისწინებულ შემთხვევებში პირი, რომლის მიმართაც შედგენილია ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ ოქმი, ვალდებულია დაუყოვნებლივ დაასუფთაოს მუნიციპალური ნარჩენებით დანაგვიანებული ტერიტორია.

საქართველოს თითოეული მოქალაქე ვალდებულია დაიცვას კანონის მოთხოვნები, წინააღმდეგ შემთხვევაში კანონის დამრღვევი დაჯარიმდება, რაც მის ოჯახურ ბიუჯეტზე უარყოფითად აისახება.

**ყვარლის მუნიციპალიტეტის გამგეობა**

# შვეიცარიელი მეცნიერების სენსაციური დასკვნა: ფარაონი ტუტანჰამონი... ქართველი იყო



ციურიხის გენეალოგიურ კვლევათა ცენტრ iGENEA-ს ბიოლოგებმა, რომლებსაც ეგვიპტელმა კოლეგებმა შესასწავლად ფარაონ ტუტანჰამონის დნმ გადასცეს, სენსაციური დასკვნა გააკეთეს. ეგვიპტელმა მეცნიერებმა დნმ ლეგენდარული ფარაონის მუმიის ძვლოვანი ქსოვილიდან აიღეს, კონკრეტულად კი მარცხენა მხრიდან და მარცხენა ფეხიდან. „გაკეთდა ძალიან აკურატული ნაჩხვლეტები, რა დროსაც მუმია საერთოდ არ დაზიანებულა“, — განაცხადა ეგვიპტის სიძველეთა უმაღლესი საბჭოს გენერალურმა მდივანმა ზაჰი ჰავასმა (Dr. Zahi Hawass) და ხაზგასმით აღნიშნა, რომ მუმიის დნმ-ის კვლევის მიზანი ფარაონის იდუმალებითა და მრავალრიცხოვანი ინცესტებით მოცული წარმომავლობის დადგენა იყო. iGENEA-ს სპეციალისტებმა ტუტანჰამონისა და თანამედროვე ევროპელების დნმ შეადარეს და მათ შორის ფარაონის მრავალი ნათესავი აღმოაჩინეს — მაგალითად, ბრიტანელები, ესპანელები და ფრანგები. ტუტანჰამონი სულაც არ ყოფილა მომხიბლავი ყმაწვილი, თუმცა არც ისეთი მახინჯი გახლდათ, როგორსაც ზოგი მედიკოსი წარმოადგენდა iGENEA-ს დირექტორ რომან შოლცის (Roman Scholz) ვარაუდით, ეგვიპტელი ფარაონებისა და ევროპელების საერთო წინაპარი კავკასიაში ცხოვრობდა დაახლოებით 9 500 წლის წინ, ხოლო მისი პირდაპირი შთამომავლები დაახლოებით 7 ათასი წლის წინ ევროპაში განსახლდნენ. ზოგმა მათგანმა კი ეგვიპტემდე მიაღწია და ფარაონის ტახტიც დაიკავა. გამოდის, რომ ტუტანჰამონიცა და მისი პაპის პაპის პაპაც კავკასიელები, შესაძლოა, ქართველები იყვნენ. უფრო ზუსტ ინფორმაციას შემდგომი კვლევები აჩვენებს. ამჟამად შვეიცარიელი მეცნიერები ტუტანჰამონის უახლოეს ნათესავებს ევროპელებს შორის ეძებენ, ეგვიპტელები კი მუმიის დნმ-ის შესწავლას განაგრძობენ. ეგვიპტელი ბიოლოგების მიერ ჩატარებულმა გენეტიკურმა ანალიზმა აჩვენა, რომ ტუტანჰამონს უამრავი დაავადება სჭირდა: ძვლების სიმყიფე, მგლის ხახა, ტერფების სიმრუდე, მარცხენა ფეხს მიათრევდა და სიარულისას ჯოხს ეყრდნობოდა. აღსანიშნავია რომ მეცნიერებმა სამარხში სამასამდე ჯოხი იპოვეს, მაგრამ ვერ მიხვდნენ, რომ ისინი ტუტანჰამონს იმიერ სამყაროში გამოსაყენებლად ჩაატანეს. გაირკვა ისიც, რომ ტუტანჰამონი სულაც არ ყოფილა მომხიბლავი ყმაწვილი, თუმცა არც ისეთი მახინჯი გახლდათ, როგორსაც ზოგი მედიკოსი წარმოადგენდა: თეძოსქელი, ქალივით დიდმკერდიანი, წაგრძელებული თავის ქალითა და ობობასავით ზედა კიდურებით. სხვათა შორის, ამგვარმა დახასიათებამ უფოლოგებს ისიც კი აფიქრებინა, რომ ბიჭუნა-ფარაონი უცხოპლანეტელთა ექსპერიმენტების მსხვერპლი იყო. ზაჰი ჰავასის თქმით, ამგვარი დასკვნები მხოლოდ ფარაონის გამოსახულების საფუძველზე კეთდებოდა და არა ფაქტობრივ მონაცემებზე დაყრდნობით. არადა ეს მონაცემები აჩვენებს, რომ ტუტანჰამონი ნამდვილად კავკასიელი იყო. დმანისში აღმოჩენილი უძველესი ადამიანის თავის ქალა არც ისე საოცარია, რომ შვეიცარელმა სწავლულებმა დნმ-ის მემკვიდრეობით ევროპულ მასალაში კავკასიური წარმომავლობა აღმოაჩინეს. კავკასია, კერძოდ კი საქართველო ბოლო რამდენიმე წელია პირველი ევროპელების სამშობლოდ და, შესაბამისად, ევროპული ცივილიზაციის აკვნად მიიჩნევა. თუმცა ამ ნათესაობის ფესვები შესაძლოა კიდევ უფრო ღრმად მიდიოდეს, ვიდრე რაღაც „საცოდავი“ 10 ათასი წელია. არსებობს წონადი საფუძველი იმის სავარაუდოდ, რომ თანამედროვე საქართველოს ტერიტორიაზე აფრიკიდან წამოსული ადამიანი ჯერ კიდევ მაშინ დასახლდა, როდესაც ისევ მაიმუნს ჩამოჰგავდა და სწორედ აქ ცხოვრებისას მიიღო ადამიანის გარეგნობა. ადამიანის პირველქართველობის ვერსიას სარწმუნოს ხდის დმანისში 1999-2001 წლებში აღმოჩენილი ძვლები, რომელთა ასაკი ცოტა ხნის წინ მეცნიერებმა 1,8 მლნ წლით განსაზღვრეს. ადამიანის მსგავსი ქართველები სიმაღლით დაახლოებით 1,5 მ იყვნენ და 50 კგ-ს იწონიდნენ, მათი ტვინი ორჯერ ნაკლები, დაახლოებით 600 კუბური სანტიმეტრი მოცულობისა იყო. მაგრამ მათ შრომის იარაღის დამზადებაც იცოდნენ და ხორცეულისა თუ საკვები მცენარეულის დამარაგებაც. მსოფლიო მეცნიერები არ გამორიცხავენ, რომ მთელი ევროპული ცივილიზაცია ადამიანის მსგავსი ქართველებისგან წარმოიშვა, რომელთა ნაწილი უკან, აფრიკაში გაბრუნდა და ევოლუციურად იქ ამაღლდა რამდენიმე საფეხურით, მერე კი ისევ ევროპისკენ გასწია. ასე რომ, ნამდვილი ქართველები დმანისში ნაპოვნი ადამიანის შთამომავლები არიან, დანარჩენები კი — მოსულები, ანუ აფრიკიდან გადმოსახლებულთა მეორე ტალღის მემკვიდრეები.



# ... გასაკვირი არ არის, რომ ბუნება სისხლხორცეულად გვიყვარს და ვუფრთხილდებით

*ჩალის ტბისკენ მიმავალი ტრასიდან, სულ რაღაც ორასიოდე მეტრი მანძილის გავლაა საჭირო, რომ საოცრებათა სამყაროში აღმოჩნდე. თვალუწვდენელი ასწლოვანი მუხები ნიუორკის ცათამბჯენივითაა აღმართული და ამაყად გადაჰყურებენ ილიას გორიდან ჩალის ტბამდე და ბზის გორებს შორის მოქცეულ ტერიტორიას. არადა ასეთი ხეები ათიოდე წლის წინათ განა ერთი და ორი იდგა? მაგრამ ადამიანების გაუმაძღრობას შეეწირნენ. ამ ულამაზესი ბაღნარის მფლობელმა ათასგვარი ჭირვარამი გადაიტანა, რათა 1,5 ჰა მუხნარი გადაერჩინა და მომავალი თაობებისათვის საჩვენებელ მუზეუმად ექცია. ოაზისში შედარებით განსხვავებული, სასიამოვნო კლიმატია, რაც ადამიანების განწყობაზე დადებითად მოქმედებს. აქ ყველაფერს გამრჯე ხელი ატყვია, შესვლისთანავე შეამჩნევ, რომ მუხის ქვეშ ადამიანებს თავი შეუფარებიათ ჩრდილისთვის, უნებლიედ მათთან საუბარს მოიწადინებთ, მაგრამ... შორიდან ცოცხალ სურათს გავს, მიუახლოვდები და მიხვდები, რომ ხელოვანის ნაოსტატარია. კიდევ რა საოცარ ქმნილებას არ ნახავთ აქ.*

*ამ ყველაფრის გადამრჩენელი და შემოქმედი, ყვარელში გამორჩეულად კოლორიტი და უნიჭიერესი ადამიანია, რომელსაც მეგობრებმა მოფერებით „პაჭო პიკასო" შევარქვით. 9 მარტს, ჩვენს „პიკასოს" – ავთანდილ სამუკაშვილს 75 წელი შეუსრულდა და იუბილე მუხნარში მივულოცეთ. ტრადიციული სუფრა გაიშალა და ავთანდილთან საუბარიც საინტერესო გამომივიდა.*



## „პიკასო" 75 წლის იუბილარია

**– ბატონო ავთანდილ, 75 წლის ასაკში საკმაოდ ახალგაზრდულად გამოიყურებით, საინტერესოა რა რეჟიმით განვლეთ წუთისოფელი, რომ ასეთი ფიზიკური და სულიერი სიჯანსაღე შეგენარჩუნებინა?**

– მიუხედავად იმისა, რომ არასოდეს მქონია კომფორტული ცხოვრება, – რამდენიმე მძიმე ოპერაცია მაქვს გადატანილი ბავშვობაში, – ჩემმა მშობლებმა ყველაზე მთავარი, რაც ადამიანისთვის არის საჭირო, შრომის ფასი შემაყვარეს და დღემდე ასე მოვდივარ. ჯერ კიდევ სასწავლებელში და აკადემიაში სწავლის პერიოდში, როდესაც მამაჩემი სასტიკ ავარიაში მოხვდა და არაფერი აღარ შეეძლო (ფიზიკური შრომა), ვენახის მოვლა იყო, თუ სხვა სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებს შეძლებისდაგვარად მე ვაკეთებდი.

რაც შეეხება ჩემს საქმიანობას, მეორე კლასიდან ვხატავდი და სილამაზეს ვემსახურებოდი, რასაც დღემდე ვაგრძელებ. ვმუშაობდი თბილისში პირველ მრავალსართულიან სასტუმრო ივერიაზე, მის მხატვრულ ვიტრაჟებზე, ფუნიკულიორის ძირა სადგურის მხატვრულ ვიტრაჟზე და სასწავლებელში სწავლის პერიოდში, ფუნიკულიორის რესტორნის თაღოვანი ჩუქურთმების რესტავრაციაზე.

პარალელურად, კინოსტუდია ქართულ ფილმში დაახლოებით 36 წელიწადი ვთანამშრომლობდი, ექსპედიციები საქართველოს მრავალ ადგილებში და მის გარეთ გადაღებები, ახალი მეგობრების გაჩენა, კარგი ურთიერთობა მსახიობებთან, როგორც კინოსი, ისე თეატრის, მერე ფილმის წარმატება, როცა შრომა გიფასდება და მაყურებლის სიყვარულს გრძნობ. აი ამან განაპირობა ჩემი ორგანიზმის სიჯანსაღე და სიახალგაზრდავე, ესაა რაცა ვარ, ასეა ეს.

**– ვიცი, რომ დიდი ხნის განმავლობაში მუშაობდით ქართულ კინოსტუდიაში და ბევრი ფილმის შემოქმედი მხატვარი ბრძანდებით, იქნებ აგვიხსნათ თქვენს მოვალეობაში რა შედიოდა?**

– 1961 წელს სასწავლებლის დამთავრების შემდეგ გამანაწილეს კინოსტუდიაში. კინოს სჭირდება ბუტაფორია და ამ სამყაროში ვმუშაობდი, თუ გახსოვთ ფილმ „მამლუქში" გემიდან რომ დაიძახებენ „აი სტამბული და ქალაქს რომ აჩვენებენ, ის არის ბუტაფორიული ქალაქი მუყაოსგან და თაბაშირისგან გაკეთებული პატარა ზომის მაკეტი. ამ ცეხიდან მომიწია მრავალ ფილმზე მუშაობა. პირველი იყო „არდადეგები", ამის შემდეგ ბევრი სხვა.

**– რომელი ფილმებია გადაღებული შენი მონაწილეობით?**

– აკადემიის დამთავრების შემდეგ, უკვე ფილმის დეკორაციებს ვაკეთებდი, როგორც პავლიონში, ისე ნატურაზე, სადაც ადგილს შევარჩევდით, ისტორიული იყო თუ თანამედროვე სიუჟეტი. მაგალითად რატილს რომ ვიღებდით (ეს ფილმი ჩეხეთ-საქართველოს ერთობლივი ნაწარმოები იყო) საქართველოში რომ დარიალის ხეობით შემოვიდა მთავარი გმირი დედას ლევენასთან შესახვედრად, ამისთვის გუდაურში გავაკეთეთ მწყემსების სადგომი. მაშინ იქ რამდენიმე ძველი სახლი იდგა, კურორტი და საცურაო სათხილამურო ბაზა არ არსებობდა. იქ მწყემსებთან გაათენა ღამე რატილმა, ჩეხმა ლოტბარმა და ფილმის მთავარმა გმირმა. ალბათ გახსოვთ მთავარ ანგელოზთან აშენებული დეკორაცია, ალექსანდრე მეფის სასახლე და ფილმის „წიგნი ფიცისათვის" და დაბლა ხევში ცხენოსანთა ლაშქრის სადგომი. ვიყავი ასევე „დათა თუთაშხიასთვის" გადაღებაზე ნატურაზე თუ პავლიონებში. მხოლოდ გრაფი სეგედის და ზარანდიას (მწერალთა კავშირის ტერიტორია), სეგედისა და სეხნიევის შეხვედრებია უცხოეთის საელჩოში გადაღებული ნატურაში, დანარჩენი სულ დეკორაციებია. ამ ფილმის გადამღებ კოლექტივს შევუერთდი მეოთხე სერიიდან.

**– რომელ ცნობილ მსახიობებთან მოგიწიათ მუშაობა და როგორი ადამიანები იყვნენ ეკრანს მიღმა ყოველდღიურ ყოფაში?**

– როგორც ზემოთ მოგახსენეთ, იქ გავიცანი გიორგი გეგეჭკორი და მისი ძმა მერაბი, რაც შეეხება მთავარ გმირს როსტიას (ოთარ ალგუთაშვილი) ჩემთან ცხოვრობდა. მერაბ კოკოჩაშვილმა მთხოვა ავთო რამე ხათაბალას არ გადაეყაროს, შენ გვერდით იყოს, შენთან აცხოვრეო და ასე ხელჩაკიდებული დამყავდა ყველგან. ობოლი ბიჭი იყო, „კეთილი ადამიანების" გადაღების შემდეგ აიყვანეს აქ მთავარ როლზე, როგორც ნიჭიერი ბავშვი. ცნობილი რეჟისორი შოთა მანაგაძე პატრონობდა და მისი გარდაცვალების შემდეგ რა მოხდა, აღარ ვიცი. მუშაობა მომიწია თენგიზ არჩვაძესთან, მელვინეთ-უხუცესთან, სერგო ზაქარიაძესთან, აკაკი ხორავასთან, აკაკი ვასაძესთან, გივი ბერიკაშვილთან, ლეილა აბაშიძესთან. ასევე ბევრ ფილმზე მიწევდა მუშაობა და ყველასთან მქონდა კარგი ურთიერთობა, განსაკუთრებით თენიზ არჩვაძესთან, გარდაცვლილ რეჟისორებთან რეზო ჩხეიძესთან, რეზო თაბუკაშვილთან (ნათელში ამყოფოს ღმერთმა). მართალია ეს საზოგადოება სიმდიდრით არ გამოირჩევა, მაგრამ შემოქმედ ხალხს რომ სიკეთე გააჩნიათ, ნურავინ შეედრება. იყო თბილი ურთიერთობა, ერთმანეთის მხარში დგომა ჭირსა და ლხინში. ჩემი მუშაობის პერიოდში ასე იყო და დღეს რა ხდება, ვერაფერს გეტყვით.



**– იქნებ გაიხსენოთ კურიოზები, რომელიც თქვენი თვალით დაგინახიათ და მოგისმენიათ?**

– აფხაზეთში გუდაუთის რაიონის ერთ მთიან სოფელთან გვქონდა გადაღება. ერთ-ერთ ეპიზოდს ვიღებდით. სანამ გრიმიორი გრიმებს გაუკეთებდა მწყემსების როლის შემსრულებლებს, იქვე ახლოს ჩრდილში ვისვენებდით „დათა თუთაშხია" (ოთარ მელვინეთუხუცესი) და მე. ლეღვის ხე იყო და მწიფეებით ვამარაგებდი ოთარს და სიამოვნებით შეექცეოდა. ამ დროს ამოიარა ერთმა აფხაზმა, ეცვა ძველი ძერჟინსკისეული შინელი და ცალი თვალი ახვეული, დაგვიწყო ლანძღვა-გინება და უხამსი სიტყვებით მოგვმართავდა, ძროხა მომიწამლეთო და თუ არ მომცემთ 1500 თუმანს, გიჩივლებთ რაიკომშიო და გაგრეკავთო. მე ავუხსენი სუფრაზე რაც გვქონდა ყველაფერი მოვიხმარეთ, იქ არაფერი დაგვიტოვებია მეთქი და ძროხა როგორ მოიწამლათქო. მაინც არ გვისმენდა და თავისას უბერავდა. ვეღარ მოითმინა ოთარიმ, ოხ შენიო და კარგი კახური გინებით დაახალა ფეხებში მაუზერი (უტყვიო პატრონები), აიკეცა შინელი და წიწვებიან ორ მეტრიან ღობეს გადააფრინდა. ეს რომ სიმაღლეზე ხტომაში მსოფლიო ჩემპიონ ბრუმელს დაენახა, ნაღდად შეშურდებოდა.

ერთხელ სამხატვრო სახელოსნოს მიღებისას, პრობლემები შემექმნა და რომ გაიგეს ჩემმა მეგობრებმა, ძალიან შეწუხდნენ. თენგიზ არჩვაძე გამომყვა ქალაქის საბინაო სამმართველოში. პირდაპირ გადაღებებიდან წამოვიდა თენგიზი. მწერალთა კავშირის ეზოში მუშნი ზარანდიას გრაფ სეგედთან სტუმრობას ვიღებდით. თენგიზმა ტანსაცმელი არ გამოიცვალა, თავისი გრიმით და აპელატებით მივედით საბინაო სამმართველოში, სადაც მისი ყოფილი კლასელი იყო მმართველი. რომ დაინახეს მუშნი ზარანდია თანამშრომლებმა, იქ ამბავი ატყდა, ძლივს შევასწარით კაბინეტში. ყველაფერი რომ გავარკვიეთ და როდესაც წამოსვლას ვაპირებდით, მმართველის მოადგილე ერთი მოხუცი იყო, მოსე რატიანი, ასე მახსოვს, თენგიზს შეეკითხა ეს მხატვარი შენი ვინ არისო. იმან უპასუხა ჩემი ძმააო. გავიდა ხანი და ახლა იქ მცხოვრებ მოსახლეებს მოუნდათ ჩემი ფართი და ატეხეს ერთი ამბავი, რომლებიც ყოველნაირი ფართით დაკმაყოფილებულები იყვნენ, (ეს განთავისუფლებული ფართები შევარდნაძის ბრძანებით კინო-სტუდიის რეკომენდაციით და მხატვართა კავშირის დახმარებით გადმოგვცეს). ასე, რომ გაგრძელდა ეს საქმე. იპოლიტე ხვიჩიამ მითხრა, ერთი მე მიმიშვი, ძალიან მაინტერესებს რა ხდებაო და გამომყვა ისევ იმ სამმართველოში და ისევ ის ამბავი გამეორდა, რაც ზემოთ მოგიყევით. იპოლიტეს დანახვაზე, კაცო, ასე რომ შეწუხდით, რა ხდება, ვინ არის თქვენიო, ეკითხება მოადგილე. იპოლიტემ არც აცხელა, ეგრევე მიახალა ჩემი დისშვილიაო. გადაირია ის მოხუცი, ამას წინათ არჩვაძე იყო და ჩემი ძმააო და გამოდის ისიც შენი დის შვილიაო, გაოცებული დარჩა მოხუცი.

**– ვიცი, რომ კინოში დიდხანს მოღვაწეობდით, მაგრამ პარალელურად უამრავ სამუშაოს ასრულებდით ყვარელშიც და სხვა ქალაქებშიც, მაშინ მოდაში იყო ულამაზესი პანოების შექმნა, სად გიმოღვაწიათ და რა შემორჩა დღევანდლამდის შენი ნამუშევრებიდან?**

– კინო-სტუდიაში მქონდა შუალედები და ამ დროს ვუთავსებდი სამხატვრო საგამაფორმებლო სამუშაოებს. მე მყავდა მეგობარი, დიდი შემოქმედი მხატვარ-მონუმენტალისტის, გაზეთ „კომუნისტის" მთავარი მხატვარ-რედაქტორის იოსებ ქოქიაშვილის ვაჟი ვახტანგ ქოქიაშვილი, რომელიც მხარში მედგა და ძმობას მიწევდა. მასთან ერთად გავაკეთეთ სასტუმრო „ივერიაში" მხატვრული ვიტრაჟები, რომელიც ქალაქში პირველი იყო 1967 წელს, მეორე დიდი ვიტრაჟი, რომელიც პრიბალტიკაში ჩამოვასხმევინეთ სპეციალური სქელი ფერადი მინა, ეს არის ფუნიკულიორის ძირა სადგურის ვიტრაჟი, დაახლოებით 100 კვადრატი და მის სახურავზე მხატვრული ფერადი მოზაიკა გეომეტრიული ნახაზით. ისევ თბილისში 1970 წელს, საბურთალოს ქუჩაზე შევასრულეთ ინსტრუმენტალური ქარხნის შიდა კედლის მოხატულობა მოზაიკით (ქართული ინსტრუმენტების სიმბოლოები). რამდენიმე წლის წინ, კიდევ დავლაშქრე თბილისი და გავაფორმე 2 რესტორანი – ერთი ავლაბარში, მეორე ვარკეთილში. მოზაიკა ეზოში და კედლის ფერწერული მოხატვა ვარკეთილში. და ბოლოს ბიჭვინთა არ გამომრჩეს, რა თქმა უნდა, როცა აფხაზეთი ჩვენი იყო, კურორტის ტერიტორიაზე საზაფხული კინო–თეატრის შენობაზე სპილენძის ჭედურობა ფერადი ბროლის გამოყენებით (თემა „წყალქვეშა სამყარო") ზღვიდან ცაში მოელვარე ვარსკვლავებივით ჩემი შესრულებულია. ასევე გაგრის ბაზრის შესასვლელი ჭედურობით გაფორმებული არის ჩემს მიერ.

**– მახსოვს ილია ჭავჭავაძის საექსპოზიციო დარბაზის დაპროექტებაშიც მონაწილეობდით.**

– ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო მუზეუმის დაპროექტებაზე მხოლოდ მე და არქიტექტორ ბუცა ჯორბენაძეს საუბარი გვქონდა. მონაწილეობა არ მიმიღია.

**– ახლა დავუბრუნდეთ შენს ულამაზეს ოაზისს, როგორ შეძელი მოგეგერიებინა მტაცებლები და გადაგერჩინა ბუნების ეს საოცრება ადგილი?**

– მოგეხსენებათ და მგონი გახსოვთ ალაზნის პირას რა სილამაზე შევქმენი. გავასუფთავე ჭაობი და მოვაწყვე ულამაზესი ბაღი. გურიიდან ჩამოვიტანე ფეიჰოა და ლაგოდეხიდან ძვირფას მცენარეთა სხვადასხვა ჯიშები და უკვე მოსავალი როცა მომცა, მაშინ მესტუმრნენ მიწის მოურავები (გვარებს არ ვასახელებ, გახსენება არ მინდა მათი), ჩუმად მოულაპარაკებიათ, მორიგებულან მაშინდელ კეკუებთან და კაპიკებად წამართვეს. ამ გამოცდილების შემდეგ მყარად დავდექი იქ, სადაც უნდა ვმდგარიყავი და შევინარჩუნე ტყე. სირცხვილი იმ ყვარლელებს, რითაც სუნთქავენ და რითაც სიცოცხლეს ინარჩუნებენ, ის გაანადგურეს და მოსპეს. ჩემთან საუბარს იწყებდნენ, ამას თუ არ დაგვითმობ და არ წახვალ აქედან, პრობლემებს შეგიქმნითო და რასაც გულისხმობდნენ ყველამ კარგად ვიცით.

**– ყვარლის სასაფლაოს გარშემო ფიჭვნარის გაშენების ინიციატორი და ორგანიზატორი ჩვენი თანამემამულე ყოფილა და იგი აქვე იყო დაკრძალული, ტყის განადგურების დროს მისი სამყოფელი შეურაცხყვეს, ახლა კი მთლიანი ტერიტორია გადახნულია, რა ბედი ეწია მის საფლავს?**

– იყო ასეთი პიროვნება ჭერაშვილი, რომელმაც პეტერბურგში დაამთავრა სატყეო სამეურნეო ინსტიტუტი და ყვარელში როგორც სადიპლომო ნამუშევარი, მაშინდელი მთავრობის დახმარებითა და ხელშეწყობით გააშენა ულამაზესი ბაღი – ფიჭვნარი. მის დარგვაში და გაშენებაში მონაწილეობდნენ ყვარლის სკოლის მოსწავლეები, მათ შორის ფატი ბალიაური, რომელიც მაშინ მესამე კლასში სწავლობდა და მისი მოვალეობა იყო ნერგის ორმოში ჩადება და სწორედ დაჭერა, ხოლო უფროსი კლასელები მიწას აყრიდნენ და რწყავდნენ. ბაღი რომ უკვე წამოიზარდა, რამდენიმე წლის შემდეგ ჭერაშვილი ჭლექით დაავადებული დაუბრუნდა მშობლიურ სოფელ ყვარელს და უკვე როცა გადარჩენის იმედი ამოეწურა, ანდერძი დატოვა – ერთ რამეს გთხოვთ და შემისრულეთ, ჩემს გაშენებულ ბაღში დამკრძალეთო. ანდერძი თანამემამულეებმა შეუსრულეს, ხოლო უცხოელმა ხელოვანმა ადამიანებმა ულამაზესი ჩუქურთმებით შემკული ძეგლი დაუდგეს, რომელიც იყო ხელოვნების ნიმუში. სამწუხაროდ ტრაქტორით დაანგრიეს და გადაყარეს. კეთილი საქმის მკეთებელ კაცს ასე გადაუხადეს სიკეთე. საფლავში თავის მიწაში არ გააჩერეს. ამის შემდეგ რა მოხდა, ამას უკვე ვეღარ მოგახსენებთ. ერთს კი გავიმეორებ იეთიმ გურჯის ლექსიდან „სირცხვილი იმ გუთნის დედას, წინაპრების საფლავს ხნავდეს". უმაღლესი მსაჯული ზევიდან ხედავს ყველაფერს.

**– თქვენი მეუღლე, ქალბატონი ნათელა მანდილოსნების ბრწყინვალე დღესასწაულზე 8 მარტს ყოფილა დაბადებული, როგორ მიულოცეთ და კმაყოფილი თუ ხართ მასთან ერთად გატარებული წუთისოფლით?**

– ჩვენ მთელი ოჯახი მარტის თვეში ვართ დაბადებულები, ასე ინება განგებამ. რაც შეეხება ჩემს მეუღლეს, ტყის ყვავილებით მივულოცე 8 მარტი. მისი დამსახურებაა შვილებისა და შვილიშვილების აღზრდა და სწორ გზაზე დაყენება. მამაკაცებს ხშირად უფრო გარეთ გვიწევს ყოფნა და ამდენად ვერ ვეხმარებით მეუღლეებს უმძიმესი ტვირთის შემსუბუქებაში.

**– მეგობრებს გვიხარია, რომ კარგი შვილები აღზარდეთ, გელამ კი თავი გაგვაცნო შეუპოვრობით, რომლის მეოხებით ეს მუხნარი განადგურებას გადაურჩა. ამავე დროს შესანიშნავი დიზაინერი და არქიტექტორია, რას საქმიანობს ამჟამად?**

– ჩვენი ჯიში და ჯილაგი მოხევე მთიულებს მიეკუთვნება, საღუდუშაუროდან, ყაზბეგის სოფელ სნოდან ვართ წამოსულები. ამას ადასტურებს პროფ. ვახტანგ ითონიშვილის წიგნი და გამოკვლევები (ქართველ მთიელთა ცხოვრება და ტრადიციები) და გასაკვირი არ არის, რომ ბუნება სისხლხორცეულად გვიყვარს და ვუფრთხილდებით. ასე ვიცავდით და დავიცავთ მომავალში. რაც შეეხება გელას საქმიანობას, მუშაობს რამდენიმე ობიექტზე არქიტექტურისა და დიზაინის სფეროში.

**– რას ფიქრობთ, მომავლისთვის რის გაკეთებას აპირებთ მამა-შვილი?**

– ბევრ საინტერესო რამეს გპირდებით და ახლო მომავალში დარწმუნდებით.

**– ბატონო ავთანდილ, გმადლობთ გულახდილი და საინტერესო საუბრისთვის. თქვენ და ქალბატონ ნათელას გულითადად გილოცავთ საიუბილეო თარიღებს, გისურვებთ დიდხანს სიცოცხლეს და ულევ სიხარულს, გამრავლებას და გახარებას შვილებში და შვილიშვილებში.**

**ესაუბრა**
**ალექსანდრე გიგილოშვილი**

# ქართული ფოლკლორი

**კაფია**

თითქმის ყველა ხალხის ფოლკლორში არის ჟანრი, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ იმპროვიზაციის ძალით არსებობს, შეიძლება ითქვას, იმპროვიზაციის შედეგია. ეს არის გაშაირება, რომელიც კაფიის სახელწოდებით ფართოდ არის გავრცელებული აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში, განსაკუთრებით კი ფშავში, სადაც ამ ჟანრს მკაცრად ჩამოყალიბებული კანონები აქვს. სხვა მოთხოვნებთან ერთად (მაგ. რითმის შემცველობა) იმპროვიზაცია აქ გადამწყვეტია. ადრე ნათქვამის განმეორება, თუკი ასეთი რამ მოხდა, ჩავარდნაა, მარცხია კაფიობის პროცესში და იგი უნდა შეწყდეს. გადამწყვეტია ასევე იმპროვიზაცია ხმით ნატირლებში, რომლებიც თუმცა იყენებენ ტრადიციულ სახეებს, მაგრამ, ძირითადად, იმპროვიზაციის ეფექტს ემყარებიან, მოულოდნელობა, შეიძლება ითქვას, აუდიტორიის დაკვეთაა, რომელიც განუხრელად სრულდება.

ამ მხრივ შესაძლოა საკულტო სიტყვიერება იყოს გამონაკლისი, თუმცა იმპროვიზაციის შესაძლებლობა არც აქ უნდა იყოს გამორიცხული. მართალია, საკულტო პოეზიისთვის არ არის დამახასიათებელი პიროვნული ჩარევა ტექსტის შეგნებული შეცვლის მიზნით, არ არსებობს რაიმე იმპულსი, ან მოტივი ამ ჩარევისთვის – ტექსტის საკრალიზმი და მისი ასევე საკრალური წარმოშობა ამას არ უწყობს ხელს, მაინც სპორალურად დასტურდება, იმპროვიზაციის შემთხვევები. ეს მაშინ ხდება, როცა სუსტდება საკრალური ტექსტებისადმი მოწიწება და შემსრულებელი თავს თავისუფლების ნებას აძლევს.

**მითოლოგია**

ქართული მითოლოგია – ძველი ქართული მითების და ისტორიის ნაკრები, რომლებიც ძველ ქართულ ღმერთებს – ღვთისშვილებსა და გმირებს, ასევე სამყაროს მოწყობას ეხება. თანამედროვე მკვლევარები ამ მითებს იყენებენ ძველი საქართველოს რელიგიური და პოლიტიკური ინსტიტუტების შესასწავლად, ასევე თვით ამ მითების შექმნის ბუნების გამოსაკვლევად. ქართული მითოლოგია მეტწილად წარმოდგენილია ზეპირსიტყვიერი ფორმით და მისი მეცნიერული დოკუმენტირება საკმაოდ გვიან დაიწყო ( XIX–XX საუკუნე) თუმცა სხვადასხვა წყაროებზე დაყრდნობით შესაძლებელია გარკვეული დოკუმენტური მასალის მოძიება, რაც საშუალებას გვაძლევს უფრო სიღრმისეულად დავინახოთ ქართული მითოლოგიური სამყარო სპეციფიური და მკაფიოდ ინდივიდუალური სახით. ქართულ მითებში ახსნილია სამყაროს დასაბამი და სხვადასხვა ღმერთების, ქალღმერთების, გმირებისა და მითიური ქმნილებების ცხოვრებისა და თავგდასავლების დეტალები. ეს ამბები თავდაპირველად ზეპირსიტყვიერად ვრცელდებოდა ზეპირპოეტური ტრადიციით, თუმცა ამჟამად ქართული მითები ძირითადად ქართული ზღაპრებიდან თუ სხვა ლიტერატურიდან არის ცნობილი.

**მითი**

მითი თავად გადაალაგებს საგნებს და მოვლენებს, მიუჩენს მხოლოდ მათთვის განკუთვნილ ადგილს და სტატუსს, მიგვანიშნებს მითიურ სამყაროზე, როგორც ყოფიერების ერთადერთ რეალურ და უნივერსალურ ფორმაზე, ყველაფერი დანარჩენი მხოლოდ მისი „აჩრდილებია“.

საქართველოს ისტორიას, თუმცა ქვეყანას ცალი ფეხი ზღვაში ედგა (ამ სიკოჭლეს გამოხატავს ისტორიული ფორმულა „ნიკოფსიიდან დარუბანდამდე“), არ ახსოვს რაიმე მნიშვნელოვანი ურთიერთობა ზღვასთან და, მითუმეტეს, საზღვაო ბრძოლები. კარლ შმიტის ნათქვამი ზოგადად ადამიანზე შეიძლება გავიმეოროთ ქართული სინამდვილის მიმართ, რომ ქართველი ადამიანი ხმელეთის არსებაა, მიწაზე მოსიარულეა, იგი დგას და გადაადგილდება დედამიწის მყარ ზედაპირზე. ეს არის მისი პოზიცია და მისი ნიადაგი... და, რაც მნიშვნელოვანია, ეს განსაზღვრავს მის შთაბეჭდილებებს და მსოფლაღქმას (შმიტი 2010.46. მთა და ბარი – აი ეს არის საქართველოში მოსახლე ადამიანის ასპარეზი და რა თქმა უნდა, ხევები და ხეობები, და მდინარეები, თუმცა ვერ დავადასტურებთ, რომ ოდესმე თუნდაც მდინარეებს რაიმე გადამწყვეტი სამეურნეო ან სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდეთ ქვეყნის ისტორიაში, წყალუხვი და მბორგავი მდინარეები (რიონი, ენგური, ალაზანი...) ნაკლებ ხელსაყრელი იყო სანაოსნოდ, მხოლოდ მთებში მოჭრილი და ტივებად შეკრული ხეების ტრანსპორტირებისათვის თუ გამოდგებოდა, მდინარეთა ქსელი არასოდეს გამხდარა სახელმწიფო-სამეურნეო, პოლიტიკის მნიშვნელოვანი ნაწილი, განსხვავებით პოტამური ეპოქის ტიგროსისა და ევფრატის აუზისა, რომლის არსებით ქსელზე იყო დამყარებული ქვეყნის კეთილდღეობა და სიუხვე, რომ არაფერი ვთქვათ ცივილიზაციაზე, რომლის სახე გარკვეულწილად ამ ორმა მდინარემ განაპირობა, ტიპოლოგიური თვალსაზრისით აღსანიშნავია, რომ მითოსში, რომელთა სამეურნეო და სამხედრო საქმიანობა არ იყო დაკავშირებული ზღვასთან, ზღვა მათ წარმოდგენაში მონაწილეობს როგორც დაპირისპირებული ხმელეთის სტიქია, ქაოსის სახე, რომელიც ზღვაურ ურჩხულებშია განპირობებული. ზღვაური სტიქია ეს არის თიამათი, ღმერთებისა და სამყაროს პირველსაშო, რომელიც შთანთქმით ემუქრება სოფელს.

დავუბრუნდეთ ქართულ ხმელეთურ სინამდვილეს, ქართულ მენტალობაში ზღვის სიშორე ჰქმნის მასზე წარმოდგენებს სიუცხოვით დაწყებული, მტრობით დამთავრებული.

პირველი საფეხური (სიუცხოვე) ზღვასთან ქართული დამოკიდებულებისა ჩანს „ვეფხისტყაოსანში“, სადაც ზღვათა სამეფო, გულანშაროს სახელწოდებით, პოემის სახმელეთო სამეფოების სრული ანტიპოდია.

იმავე ხანას, როცა „ვეფხისტყაოსანი“ დაიწერა, ეკუთვნის თამარის ისტორია, სადაც ზღვა ერთხელ არის ნახსენები და ისიც როგორც სამოქმედო ასპარეზი, არამედ როგორც ხმელეთის საპირისპირო სტიქია, რომელიც დაძლეულ გარდაქმნილი უნდა იქნას, თამარის დიდების წარმოსაჩენად. „ისტორიათა და აზმათა“ ავტორი თამარზე ამბობს: „კნინ-ღა და ყოველსა ზღუასა აღმოიწრედდა თვისად, ვითარცა ღრუბელი ყოველთა ზედა მსხურებელი ტკბილთა წვმათა“ (ყაუხჩიშვილი 1959.148). ფრაზა ამგვარად ითარგმნება ახალ ენაზე: „ცოტაც და მთელს ზღვას თავისთვის ამოხაპავდა, როგორც ყველასთვის ტკბილი წვიმის მასხურებელი კრებული“. ასეთი მეტაფორა გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ თამარს, ისევე როგორც მის წინაპრებს, არასოდეს ჰქონიათ ზღვასთან პრაგმატული ურთიერთობის გამოცდილება. ეს მეტაფორა თავისებური მითოლოგემაა, რომელიც შეიძლება მიგვანიშნებდეს თამარის, როგორც მითოლოგიური არსების, კოსმოგონურ ღვაწლზე. თამარმა მთელი ხმელეთი დაიმორჩილა და ახლა ისღა დარჩა, რომ უცხო და მტრული სტიქია კაცთათვის სასარგებლო მოვლენად გარდაქმნას.

მეორე საფეხური ზღვის აღქმისა – მისი მტრული, აგრესიული სახე ხალხურ წარმოდგენელბშია დაკრისტალებული ასევე მითოლოგემების სახით.

პირველად ზღვის აგრესიულობა „ქართლის მოქცევის“ ტექსტშია დადასტურებული თეონიმურად საკმაოდ ბუნდოვანი, თუმცა შინაარსობრივად ადვილად ამოსაცნობი მითოლოგემის სახით.

ზღვაური სტიქიის მეტოქედ ხმელეთიდან სწორედ ცეცხლია ბუნებრივი, როგორც ხმელეთის, მშრალი მიწის წარმომადგენელი.

ზღვის აგრესიულობის მითოლოგების გამოძახილია ამირანის აპოსის „შავი ზღვა“. „შავმა (გველეშაპმა) აიღო, ჩაყლაპა, შავი ზღვისკენ გასწია“, რომელიც ფრაგმენტულად შემორჩა ამირანის ეპოსს. ეს გველეშაპი ზღვის წარმომადგენელია, ის ზღვის სახელით ესხმის ხმელეთს და ყლაპავს ამირანს, როგორც ხმელეთის მკვიდრს, რომლის ძლევამოსილება მხოლოდ ხმელეთზე ვრცელდება. იგივე მითოლოგემა მეორდება ოდნავი სახეცვლილებით ვაჟა-ფშაველას სტრიქონში ლექსიდან („ღამე მთაში“).

ზღვის, ზოგადად წყლის, ამგვარმა აღქმამ XX საუკუნის მწერლამდე მოაღწია. ვასილ ბარნოვი აღიქვამს მდინარეს, მშობლიურ მტკვარს აზვირთების მომენტში: „დაღამების ხანს ცამოწმენდილზედ ის მდინარე აზვირთებულა: თავის ქერქში ვერ ეტეოდა, სიდეებზედ მიინთქრეოდა, მის სადინელს მთლად იჭერდა გველეშაპი უზარმაზარი, მოცურავდა, იგრაგნებოდა, ხანდახან თავს აიღებდა, ცეცხლისთვალებს აბრიალებდა, ალსა ფშვენდა აშკმილ პირიდან“. (მტკვრის ვაჟი ტ.8.1963).

ქართულ მითოლოგიაში და ფოლკლორში მზეთუნახავი, ოქროსთმიანი მშვენიერი ქალი, რომელიც სასწაულებრივად იბადება მცენარეებიდან. მზეთუნახავი ჩაკეტილია ცხრა მთას იქით მიუვალ ციხე-კოშკში; გმირმა რომ მოიპოვოს იგი, უნდა შეასრულოს ურთულესი დავალება ან გამოიცნოს მისი გამოცანები.

ხშირად მზეთუნახავი მოჯადოებულია და გადაქცეულია ირმად, მტრედად, გველად, მისი მომაჯადოებელი ბოროტი არსების განადგურების შემდეგ მზეთუნახავი, ჯადოსნური სიტყვის ან მოქმედების შედეგად, თავის პირვანდელ სახეს იბრუნებს, მზეთუნახავი კეთილია და გამჭრიახი, ჯადოსნური საგნებით იგი ეხმარება გმირს, რომელსაც მიჰყვება ცოლად.

**ანდაზა**

ანდაზა – ფოლკლორის მცირე ფორმის ნაწარმოებია, აზრის ღრმად და მოკლედ გამომხატველი ფორმულა. მსგავსად ასაკისა სემანტიკური ორმაგობა-ნართაულობა, ანუ გადატანითი მნიშვნელობა ახასიათებს. ანდაზა ერთ მოტივზეა აგებული. ანდაზას გადატანითი მნიშვნელობა ცხოვრების მრავალ მხარეს ახასიათებს. მას შესრულების გარკვეული წესი არა აქვს, საუბარი მეტყველებაშია დამკვიდრებული. ტერმინი ანდაზა წარმოშობით ქართული არ არის. სპარსული – ანდაზე და ანდაზ გამოყენებულია ნიუანსებით. ანდაზე – ნიშნავს საზომს, მაგალითს; ანდაზ – მიხვედრას. მაგალითს საზომის, მიხვედრის აღმნიშვნელი ტერმინი, ანდაზა ქართულში მე-17 საუკუნის შემდეგ უნდა იყოს დამკვიდრებული. ანდაზა ძველი ქართული დამწერლობის მიხედვით აღინიშნება ტერმინებით – არაკი. იგავი ბერძნულად არის პარემია, ანდაზას შემსწავლელ მეცნიერებას პარემიოლოგია ეწოდება, ქართული ხალხური ტერმინოლოგიით ანდაზას ეწოდება „აზრის ქობი“, „სიტყვის მუხლი“ „სიტყვის ძალა“, „გლეხის იარაღი“.

ანდაზის მნიშვნელობა მეტად დიდი იყო ხალხის პოლიტიკურ და კულტურულ ცხოვრებაში. ანდაზა მახვილ პოლიტიკურ იარაღს წარმოადგენს კლასიკოსთა თხზულებებში.

ანდაზას მაღალი შეფასება მისცეს ილია ჭავჭავაძემ, აკაკი წერეთელმა, ნიკოლოზ გოგოლმა, ალექსანდრე პუშკინმა და სხვებმა.

ანდაზაში განზოგადებულია ცხოვრებაზე ხალხის დაკვირვება. ანდაზა შექმნილია სხვადასხვა დროს, სხვადასხვა გარემოში. ანდაზის ერთი ჯგუფი ცხოვრებაზე დაკვირვების უშუალო შედეგია, ამგვარ ჯგუფში დიდი რაოდენობითაა სოფლის ცხოვრებასთან დაკავშირებული ნათქვამები „ამინდი მუშაობდა, კაცი თავისას იკვეხიდაო“, „ხარეი ხართან დააბიო, ან ზნეს იცვლის, ან ფერსაო“. ანდაზაში ასახულია წარსულში სოციალური დიფერენციაცია „მდიდრისას კატას ტიროდნენ, ღარიბისას კაცსაც არაო“.

ანდაზის დიდი ჯგუფი ისტორიული სინამდვილის გამოძახილია. ანდაზა მრავლადაა შესული ლიტერატურულ ძეგლებში, მას უხვად იყენებდნენ შოთა რუსთაველი, ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, გალაკტიონ ტაბიძე, გიორგი ლეონიძე და სხვა.

ანდაზა შედგება ორი ნაწილისგან, ნაწილები ხშირად ერთმანეთთან რითმითაა დაკავშირებული. მაგ. „ააფრინე ალალიო, რაც არ არი, არ არიო“, „ვერიდებოდი ღოლოსა, დამხვდა სოფლის ბოლოსა“.

ანდაზას ახასიათებს ალიტერაცია, მაგ. „აზრიმს არ ვყოფილვარ, აზრით კი ვიცი“. ქართული ანდაზების ერთ-ერთი პირველი კოლექციონერთაგანი დიმიტრი ბაგრატიონნია. დ. ჩუბინაშვილმა ანდაზები შეიტანა თავის „ქართულ ქრესტომათიაში“. ისინი თარგმნილია უცხო ენებზეც.

**ლალი გოგოლაშვილი,**
**ფოლკლორისა და ხალხთან**
**ურთიერთობის სპეციალისტი**

# ნეგუსი მოლაშვილი



**ნეტავ საიდან მოვსულვართ?**
ნეტავ საიდან მოვსულვართ,
ან საით მივექანებით,
როს ამ სოფლიდან გავდივართ,
უკან სად გვრჩება თვალები.

კაცებს ცრემლი რად გვიშრება,
რად დაგვტირიან ქალები,
ნეტავ ცრემლით რად ევსებათ
იმათ ჟუჟუნა თვალები...

ალბათ ვერ გავისტუმრენით,
რაც გვქონდა სოფლის ვალები,
სანამ ვიყავით ცოცხლები,
გვდიოდა ოფლის ღვარები.

ზოგი „უნალოდ“ შრომობდა,
ზოგმა დაცვითა „ნალები“.
წელი წელს ემატებოდა,
შუბლზე გამრავლდა ღარები.

ზოგს ხელში ხმალი ეჭირა,
ზოგსა ეჭირა ფარები...
და ასე ჭაპან – წყვეტაში
მთელი ცხოვრება გავლიეთ.

ნექტრის და თაფლის ძებნაში
სამსალა მეტი დავლიეთ,
გადარეული ქვეყანა
უფრო და უფრო ავრიეთ...

...მივალთ და იქ დაგვხვდებიან
ჩვენს წინაპართა ძვალები
(სულები),
ჩვენს მისვლით გაიხარებენ,
ყველა ზემდგომი ძალები.

P.S.
ზამთარი ისე მოვიდა,
ვერ გამიგია ზაფხული,
ცხოვრებას ვერა დავაკელ,
შემრჩა ტყუილი ფაფხური.

* * *
სიყვარული სიბერეშიც
თურმე ტკბილი ყოფილა...
შემომხედა და უეცრად
გული ამიფოფინა.

მაგრამ ესეც არ მაკმარა,
ესეც არ მამყოფინა,
წამიყვანა თავის სახლში,
თავისთან მამყოფინა.
მომეფერა და ცოდვაში
ფეხი ჩამაყოფინა!..

* * *
მოყვარული ვარ ამ ქვეყნად,
ყველა ბუჩქის და ყველა ხის,
შენ არ მეძახი მაგრამ კი
შენი ტუჩები მეძახის.

ერთი პატარა ბიჭი ვარ,
პატრონი პატრა ვენახის,
შენ არ მეძახი მაგრამ კი
შენი გულმკერდი მეძახის.

ერთი საწყალი ბიჭი ვარ,
არ მიყვარს ფულის შენახვა,
მერჩივნა მე შენი თავი,
ჩემს მკლავს ნაწოლი მენახა.

**„ბედნიერი“ წელი**
ჩემო ხალხო იცოდეთ,
ასეთია ცხოვრება,
„ბედნიერი“ ეს წელი
ყველას გვემახსოვრება.

უკვე შემოგვიბრძანდა,
„ბედნიერი“ ეს წელი,
მიგვაყენეს კედელთან,
როგორც ძროხა მეწველი.

გაგვიძვირეს ყოველი,
საჭმელი და სასმელი...
თავის გზას არ დაკარგავს,
სანთელი და საკმელი!...

ხალხო, ნუ შეშინდებით,
ჩვენზე „ზრუნავს“ მთავრობა,
რა ვუყოთ, თუ ცოტათი
გაგვიძვირდა მგზავრობა.

პარლამენტში დაჯდომა
აბა თქვენ რა გგონიათ,
ხალხო, ეხლა გაიგეთ,
თუ არ გაგიგონიათ.

გაუშვით, გაიზარდონ
ხელფასი და პრემია,
ჩვენ შორიდან ვუცქიროთ,
მეტი რა დაგვრჩენია.

ჩემო ხალხო, რა ვუყოთ,
ასეთია ცხოვრება,
„ბედნიერი ეს წელი
მუდამ გვემახსოვრება.

* * *
მე შენ არ „გაშაყირებდი“,
გაგანდე გულის ნადები,
შენთვის მინდოდა ამ ქვეყნის
ყველა ია და ვარდები.

მეფერებოდი, მკოცნიდი,
ვიწვოდი როგორც აბედი,
ახალგაზრდობა მაჩუქე,
წახველ და ისევ დავბერდი.

მე რა ვიცოდი ლამაზო,
ასე თუ შემიყვარებდი,
გრძნობა მორევის ჭიდილში
მკერდზე თუ ამიფარებდი.

და ჩემს ფერება-ალერსით
ასე თუ გაიხარებდი...

ჩვენი შეხვედრა არ ვიცი,
ბედი იყო თუ ავბედი.

**ნანა შაშიაშვილს!**
**ალმატის საბავშვო ბაღის თანამშრომლები გილოცავთ დაბადების დღეს, დაესწარი მრავალს შენს ლამაზ ოჯახთან ერთად.**



# როგორ დავაღწიოთ თავი ხვრინვას

უძილობა არა მარტო შრომისუნარიანობის დაქვეითებას, არამედ ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესებასაც იწვევს. შესაძლოა თავი იჩინოს ისეთმა პრობლემებმა, როგორიც არის იმუნიტეტის დაქვეითება, თავის ტკივილი, მხედველობის გაუარესება და წონაში მატება.

ყველა ადამიანის ორგანიზმს ინდივიდუალური მოთხოვნილება აქვს ძილის საათების მიმართ-ზოგმა შესაძლოა 6 საათში გამოიძინოს, ზოგისთვის კი 9 საათი ძილიც ცოტა იყოს. მაგრამ რამდენი ხანიც არ უნდა გეძინოთ, ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ძილი



იყოს ღრმა, მშვიდი და შუალედებში გამოღვიძებების გარეშე.

მაგრამ თუკი თქვენი პარტნიორი ხვრინავს, ამან თქვენი მშვიდი ძილი შესაძლოა დაარღვიოს. ამაზე არ ღირს გაბრაზება, რადგან ხვრინვას ხომ თავისი მიზეზები აქვს. ყველაზე ხშირად ხვრინვის მიზეზი ჭარბი სითხეა სასუნთქ გზებში.

ამგვარ სიტუაციაში თქვენ დაგეხმარებათ ნაყენი, რომელიც უნდა მიიღოთ ძილის წინ. ეს ბუნებრივი ინგრედიენტები ყველასთვის ხელმისაწვდომია. თქვენ ძალიან მარტივად შეძლებთ დაამზადოთ თქვენი მშვიდი ძილისთვის შეუცვლელი ნაყენი.

როგორ დავამზადოთ ნაყენი?

**ამისთვის დაგვჭირდება შემდეგი ინგრედიენტები:**

1. 2 ვაშლი;
2. მეოთხედი ლიმონი;
3. 2 სტაფილო;
4. 1 ცალი კოჭის ნატეხი;
5. ნახევარი ჭიქა წყალი.

**მომზადების წესი:**

ყველა ინგრედიენტი გარეცხეთ, დაჭერით მსხვილად, ვაშლი გაასუფთავეთ და დააბლენდერეთ ერთგვაროვანი მასის მიღებამდე. დაუმატეთ ნახევარი ჭიქა წყალი და მიიღეთ ნაყენი დაძინებამდე 1, 5–2 საათით ადრე.

გარდა ამისა შეეცადეთ, რომ ძილის წინ არ მიიღოთ ძნელადმოსანელებელი, შემწვარი და ცხიმიანი საკვები, ასევე შოკოლადი და ალკოჰოლი.

იმედია ეს ნაყენი თქვენს ოჯახს მშვიდ ძილს მოუტანს!

# შეცდომები ბოსტნეულის ნერგის (ჩითილის) გამოყვანის დროს

ბოსტნეულის ნერგის (ჩითილის) გამოყვანა საინტერესო და ემოციური პროცესია. მეურნეების (ან მოყვარულების) ერთი ნაწილი ჩითილების გამოყვანით აღტაცებულია, მეორენი ამას მხოლოდ კულტურის მოყვანის აუცილებელ ნაწილად აღიქვავენ, არიან ისეთებიც, რომლებსაც არ უყვართ ეს პროცესი და ჩითილების შეძენა ურჩევნიათ.

მიუხედავად იმისა თუ ვინ როგორ უყურებს ამ პროცესს, ყველამ იცის რომ ჯანსაღი მცენარის და შესაბამისად უხვი მოსავლის მისაღებად, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წინაპირობა სწორად გამოყვანილი ნერგია.

ამგვარი ჩითილის გამოზრდა ყველას შეუძლია, მთავარია მონდომება და გარკვეული ცოდნა, თუ ეს ყველაფერი გაქვთ, ერთადერთი რამაც შეიძლება ხელი შეგიშალოთ ეს შეცდომებია. ამ შეცდომების გამო კი შეიძლება უხარისხო, დაავადებული მცენარე მივიღოთ და ამან ჩვენი რესურსის არაეფექტური ხარჯვა გამოიწვიოს.

განვიხილოთ რამოდენიმე სერიოზული შეცდომა — ბოსტნეულის (ნერგის) ჩითილის გამოყვანის დროს.



### უხარისხო სათესლე მასალის გამოყენება

უხარისხო თესლის შეძენა, ყველაზე მნიშვნელოვანი და გავრცელებული შეცდომაა ნერგის გამოყვანის დროს. სწორედ სათესლე მასალის ხარისხზეა პირველ რიგში დამოკიდებული საბოლოო შედეგი.

დროის ან ფინანსების ეკონომია გასაგებია, მაგრამ ამან შეიძლება დაგაზარალოთ, ცუდი ხარისხის თესლისგან საუკეთესო შემთხვევაში სუსტ მცენარეებს, ხოლო ცუდ შემთხვევაში საერთოდ ვერაფერს ვერ მიიღებთ.

ამიტომ ეკონომია გონივრული უნდა იყოს, თუ შესაძლებლობა არ გაქვთ, რომელიმე უკვე ცნობილი ან გამოცდილი მომწოდებლისგან შეიძინოთ მაღალი ხარისხის თესლი, სამეზობლოში (სანათესაოში, სამეგობროში) ხომ იცით ვინ მოიწია ამა თუ იმ კულტურის კარგი მოსავალი, მათ ჰკითხეთ და თქვენც იქ შეიძინეთ.

შეძენისას ყურადღებით გაეცანით შეფუთვას (პაკეტებს), მასზე მითითებული უნდა იყოს რაოდენობა (ცალობით ან გრამებში), გამოშვების დრო, ვარგისიანობის ვადა

### არასწორი (შეუსაბამო) ნიადაგი

ნერგის გამოზრდისთვის არასწორი შემადგენლობის, შეუსაბამო ნიადაგის ნარევის გამოყენებას შეუძლია შეაყოვნოს მცენარის ზრდა, რიგ შემთხვევებში კი მათი დაღუპვა გამოიწვიოს. არ შეიძლება უბრალოდ შეხვიდეთ ბოსტანში აიღოთ მიწა და დათესოთ, ეს გაუმართლებელია.

მაგალითად თუ კომბოსტოს ნერგის გამოზრდისთვის ავიღებთ მიწას, სადაც კომბოსტოსთვის ცუდი წინამორბედი კულტურა იზრდებოდა, მასში დიდი ალბათობით იქნება ინფექციები, რომელიც დაასუსტებს ან საერთოდ დაღუპავს თქვენს ჩითილს.

თქვენ თვითონ შეგიძლიათ ნიადაგის ნარევის დამზადება ან შეგიძლიათ უკვე მზა მასალა შეიძინოთ, მთავარია ის ამ კონკრეტული კულტურისთვის იყოს შესაბამისი. ის უნდა შედგებოდეს სპეციალური კომპონენტებისგან: ტორფი, ნეშომპალა, ნაკელი და ა.შ.

### შეუსაბამო ჭურჭელი ჩითილისთვის

ჩითილებისთვის შეუსაბამო ჭურჭლის გამოყენებამ (მასალა, ზომა, დრენაჟი და ა.შ), შეიძლება ასევე წყალში ჩაგიყაროთ შრომა, რიგ შემთხვევებში ეს იწვევს თესლის ლპობას, გახმობას, თუ მაინც გაგიმართლებთ და ჩითილების ნაწილი ამოვა, არ არის გარანტია. რომ ისინი ნორმალურად განვითარდება.

### დათესვის წინ თესლის დაუმუშავებლობა

თესლის დათესვისთვის მომზადება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პროცედურაა, რომელსაც ხშირად მეურნეების ნაწილი ყურადღებას არ აქცევს, ეს კი ცალსახად არასწორი მიდგომაა. დაუმუშავებელი თესლის დათესვა (იქნება ეს საკუთრივ წარმოებული, თუ ნაყიდი-დაუმუშავებელი), ხშირად იწვევს ნორჩი ჩითილების დაღუპვას.

რის გამო ხდება ეს? ბოსტნეული კულტურების, ინფექციური დაავადებების დიდი ნაწილი გადადის არა მხოლოდ ნიადაგიდან, არამედ დაუმუშავებელი თესლითაც. თუ თესლი თესვის წინ შესაბამისად არ დამუშავდება, ეს იქონიებს გავლენას, როგორც გაღივების უნაზრე, ასევე მცენარის შემდგომ განვითარებაზე.

### მწარმოებლის მიერ დამუშავებული თესლის გაუმჯობესების მცდელობა

მწარმოებლის მიერ, უკვე დამუშავებული თესლის გაუმჯობესების მცდელობამ, შესაძლოა ძალიან ცუდი შედეგები მოგცეთ. უმრავლეს შემთხვევებში როგორც მინიმუმ, ეს იმ უპირატესობების ნულზე დაყვანაა, რაც მას ჰქონდა ყიდვის დროს. ცუდ შემთხვევაში კი თესლმა შესაძლოა გაღივების უნარი საერთოდ დაკარგოს.

ინფორმაცია მწარმოებლის მიერ თესლის დამუშავების შესახებ, შეფუთვის (პაკეტის) უკანა მხარეს წაიკითხეთ ან თუ დაუფასოებელს ყიდულობთ შეძენის ადგილზე მოითხოვეთ.

### ჩითილის გამოზრდის ვადების გაუთვალისწინებლობა

ზოგიერთი დამწყები მეურნე თვლის, რომ ჩითილის გამოზრდის ვადების დაცვა აუცილებლობას არ წარმოადგენს, ეს მცდარი შეხედულებაა. ვადების არდაცვა მიგიყვანთ იქამდე, რომ მცენარე სუსტად განვითარებული იქნება და გადარგვის შემდეგ შესაძლოა ვერ გაიხაროს.

### ძალიან ღრმად დათესვა

თუ თესლს ნიადაგში იმაზე ღრმად ჩაფლავთ ვიდრე ეს საჭიროა, შესაძლოა ბევრი ჩითილი არ ამოიზარდოს. ამიტომ ეს ინფორმაცია აუცილებლად მოიკითხეთ შეძენის ადგილზე ან წაიკითხეთ შეფუთვაზე.

### თესვის სიმჭიდროვე

ერთ-ერთი გავრცელებული შეცდომაა აგრეთვე შემჭიდროვებული თესვა, სიმჭიდროვის შედეგი შეიძლება იყოს, სუსტი წაგრძელებული ჩითილი და არა მხოლოდ ეს, ამგვარი ნათესებში ხშირია დაავადებები.

მიზეზი ბანალურია, მცენარეს ნორმალური განვითარებისთვის არ ჰყოფნის ადგილი, ისინი საკვების უკმარისობას განიცდიან და ცუდად ვითარდებიან.

### მორწყვის და კვების ნორმების დარღვევა

ნიადაგის დატენიანება უმჯობესია დათესვამდე გააკეთოთ, უშუალოდ დათესვის შემდეგ მორწყვამ, შესაძლოა თესლი გრუნტის სიღრმეში ჩაიტანოს, ამიტომ თუ მაინცდამაინც უმჯობესია პულივიზატორი გამოიყენოთ. წყალი ოთახის ტემპერატურის უნდა იყოს.

არასაკმარისი მორწყვა ნიადაგის ზედა ფენის გამოშრობას იწვევს, რაც ხელს უშლის ნერგის ამოსვლას. იმისთვის, რომ ნიადაგის ზედაპირი არ გამოშრეს, ჭურჭელს აფარებენ ცელოფანს, რომელიც ტენს აორთქლების საშუალებას არ აძლევს.

ცელოფნის მოხსნის შემდეგ არ დაგავიწყდეთ ჩითილების დროული მორწყვა, არ გამოაშროთ ნიადაგი.

ჭარბმა მორწყვამ კი თავის მხრივ შეიძლება გამოიწვიოს ფესვების ლპობა და ახალგაზრდა მცენარის დაავადება. ძალიან ცივი წყლით მორწყვა ასევე აავადებს მცენარეებს.

მიუხედავად იმისა თუ რა კულტურის ნერგი გამოგყავთ, მას სჭირდება კვება, ამიტომ ყურადღებით მოეკიდეთ ინფორმაციას — თუ როგორი კვება სჭირდება თქვენს მიერ შერჩეული კულტურის ამ კონკრეტულ სახეობას.

### განათების ნაკლებობა და ტემპერატურული რეჟიმის დარღვევა

არასაკმარისი განათება იწვევს ახალგაზრდა მცენარის წაგრძელებას (გაწელვას), დასუსტებას. იმის გათვალსიწინებით, რომ მცენარის ნორმალური განვითარებისთვის საჭიროა 12-14 საათიანი განათება, კლიმატური პირობების გათვალსიწინებით იყენებენ ხელოვნურ განათებას.

ძალიან დაბალი ტემპერატურა, კარგ შემთხვევაში ჩითილის ზრდის ტემპის შენელებას გამოიწვევს, ცუდ შემთხვევაში დაღუპვას.

### დაავადებების და მავნებლების უგულებელყოფა

დაავადებების უგულებელყოფა დაუშვებელია, თავისით არაფერი არ მოგვარდება, ამიტომ დაავადების ან მავნებლის პირველივე ნიშნებზე მიიღეთ შესაბამისი ზომები.

### ნერგის გამოწრთობის (გაკაჟების) იგნორირება

ნერგის პირობები ჩამოყალიბების პროცესში, როგორც წესი, მნიშვნელოვნად განსხვავდება იმ პირობებისგან სადაც მცენარე შემდგომში უნდა გაიზარდოს და განვითარდეს. თუ ნერგს ამ პირობებთან შეუჩვევლად დავრგავთ, შეიძლება ვერ შეეგუოს, დაავადდეს, ფოთლები დასცვივდეს ან სულაც დაიღუპოს.

ამის თავიდან ასაცილებლად საჭიროა ნერგის გამოწრთობა, ანუ ზრდის მუდმივი ადგილის პირობებთან შეჩვევა. ასე მაგ. მუდმივ ადგილზე გადარგვამდე 10-15 დღით ადრე ნერგების რწყვა მცირდება, 5-7 დღით ადრე კი მთლიანად წყდება. გარდა ამისა, თბილ ამინდში შეგუების მიზნით, ნერგები შენობიდან გარეთ გააქვთ, თავიდან მცირე, შემდეგ კი სულ უფრო მეტი დროით.



### ჩითილის გადარგვის დაგვიანება და თანმიმდევრობის დარღვევა

გადარგვისთვის ყველაზე ძლიერ, კარგად ჩამოყალიბებულ მცენარეებს ირჩევენ. გადარგვა ძირითადად საღამოს ან მოღრუბლულ ამინდში ხორციელდება. ჩარგვისას მცენარის ფესვთა სისტემის შენარჩუნება აუცილებელია, ამიტომ ნიადაგს ატენიანებენ, რომ ამოღებისას ჩითილი არ დაზიანდეს. გადარგვის პროცესს დიდი სიფთხილით უნდა მოვეკიდოთ.

აღნიშნული შეცდომები არ ნიშნავს, რომ ნერგის (ჩითილის) გამოყვანა, რაღაც განსაკუთრებულ სიძნელეს წარმოადგენს. უბრალოდ პროცესი მოითხოვს ყურადღებას და ნორმების დაცვას.

# ბოსტნეული კულტურები — ქოთნის ჩითილი უხვი მოსავლის გარანტიაა

ბოსტნეულის ნახევარზე მეტი ჩითილის მეშვეობით იწარმოება. ამისთვის კი იყენებენ პოლიეთილენის აპკით გადახურულ სათბურებს, ანდა მზიან ფანჯრებს საცხოვრებელ სახლებში, სადაც რაფებზე დაწყობილ ყუთებში თესავენ გადასარგავ კულტურებს.

ასე გამოჰყავთ არამარტო ბოსტნეულის, არამედ ბაღჩეული კულტურების (საზამთრო, ნესვი და სხვა.) სარგავი მასალა. ამ მეთოდით ხდება 30-35 დღით წინგასწრება, რის შედეგადაც ვამცირებთ ვეგეტაციის ხანგრძლივობას და ვიღებთ ადრეულ მოსავალს.

სათბურებში პირდაპირ დათესილი ბოსტნეული და ბაღჩეული საჩითილე კულტურები უმეტესწილად ხშირი გამოდის. გადასარგავად ამოღებისას მათ ფესვები უზიანდებათ, რადგან სხვადასხვა მცენარის ფესვები ერთმანეთშია გადახლართული და ამოღებისას ზიანდება. დარგვისას ასეთი მცენარე გაჭირვებით ხარობს, ადვილად ავადდება და შესაძლოა დაიღუპოს კიდეც. ყოველ შემთხვევაში გადარგული მცენარეები სულ ცოტა 10-15 დღეს კარგავენ გახარებასა და ზრდაში წასვლამდე (ანუ 10-15 დღით გვიანდება მოსავლის აღება).

იმისათვის, რომ თავიდან ავიცილოთ ეს უარყოფითი მოვლენა, გამოცდილი მებოსტნეები უპირატესობას ანიჭებენ ტორფის და მუყაოს მცირე ქოთნებს, რომელშიც ჩაყრილია ნაყოფიერი მიწა და ჩათესილია რომელიმე კულტურის თესლი.

ამ დროს აღმოცენებული მცენარის ფესვთა სისტემა ვითარდება ჭურჭლის მთელს მოცულობაში და გადარგვისას არავითარ ცვლილებას არ განიცდის, ადვილად ხარობს და სწრაფად იზრდება. ადვილად არ ავადდება, გამძლეა სიცივის მიმართ.

ამასთან ერთად თუ ნიადაგი განოყიერებული იქნება, მოსავლის რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლებიც უფრო გაიზრდება. ასეთ შემთხვევაში მცენარე ძალიან კარგად იყენებს საკვებ ნივთიერებებს და დასაწყისშივე თამამდება. გასანოყიერებლად ძრითადად გამოიყენება ტორფის, გადამწვარი ნაკელისა და ყამირი მიწის ნაშალი მასა.

ამავე დროს უნდა გავითვალისწინოთ რომ მიწას არ უნდა შეერიოს სარეველები, რომლებიდანაც შეიძლება გავრცელდეს სოკოვანი და სხვა დაავადებები. გადამწვარი ნაკელი კი 2-3—ჯერ მდიდარია კვების ელემენტებით, ვიდრე ყველაზე ნოყიერი ნიადაგი.

არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ოთახის პირობებში ქოთნებში ანდა ყუთებში ჩითილის გამოყვანისას ყურადღება უნდა მიექცეს იმას, რომ მცენარეები თანდათანობით შევაჩვიოთ პირდაპირი მზის სხივების და სალი ჰაერის მოხვედრას. ეს ხდება მაშინ, როცა ჰაერის ტემპერატურა 15°-ზე მეტია და ამინდიც-უქარო. თუ საშუალებაა შეიძლება ჩითილის ყუთები გავიტანოთ გარეთ აივანზე ან ეზოში.

ყვავილოვანი და თავხვეული კომბოსტოს სარგავი მასალა უნდა გადაირგოს, როცა ნიადაგის ტემპერატურა 10 სმ სიღრმეზე 8°-ს მიაღწევს. გადარგვამდე დასარგავი ორმოები რეკომენდებულია მოირწყას. შემდეგ კი ამ ორმოებში ჩაიდგას ქოთანი ჩითილით და კარგად მიეყაროს მიწა. შემდეგში მორწყვა უნდა ჩატარდეს 3-5 დღის შემდეგ.

პამიდორის ჩითილის გამოზრდისას მნიშვნელოვანია მისი შეჩვევა სიცივისადმი. მათ შორის თესლის დათესვის წინ. გადარგვამდე პამიდვრის ნერგის გამოზრდას ესაჭიროება 40-45 დღე. ნიადაგში გადარგვა ხდება მაშინ, როცა მასობრივად დათბება და ტემპერატურის დაცემის საშიშროება გაივლის. ნიადაგის ტემპერატურა უნდა იყოს 14°ც, ხოლო ჰაერის 18°ც.

უნდა გვახსოვდეს რომ პამიდვრის ჩითილის ფოსფორისადმი. სწორედ ამიტომ, გადარგვისას 2-3 გრანულა სუპერფოსფატი მაინც უნდა შევიტანოთ ნიადაგში. მუდმივ ადგილზე გადარგვის დროს ყოველ ძირზე საჭიროა შეტანილ იქნეს 1 სუფრის კოვზი მიწაში შერეული სუპერფოსფატი. ამ დროს ინტენსიურად ვითარდება ფესვთა სისტემა, რაც განაპირობებს მცენარის დაჩქარებულ ზრდას.

ბადრიჯანი და წიწაკა სითბოს უფრო მეტად მომთხოვნი კულტურებია, ვიდრე პამიდორი და უფრო ნელა იზრდებიან. ამიტომაცაა, რომ მათი ჩითილის გამოზრდა 60-65 დღეს გრძელდება, მაგრამ ოთახის პირობებში შეიძლება ეს ვადა 40-45 დღემდე შევამციროთ.

ამ კულტურების ნერგის დარგვა წარმოებს პამიდვრის გადარგვის შემდეგ. წესები იგივეა, რაც პამიდვრის ნერგის გადარგვისას. წიწაკის და ბადრიჯნის ფესვები შედარებით ძნელად ეგუებიან ახალ გარემოს.

# შერეული თესვა — ბოსტნეული, მწვანილი — მეგობარი მცენარეები



თუ კულტურებს რაციონალურად განვათავსებთ მიწის ნაკვეთზე, უფრო მეტი რაოდენობის სხვადასხვა ბოსტნეულის მოწევა შეიძლება ერთი კვადრატული მეტრიდან. ამისთვის მიზანშეწონილია შერეული და ინტენსიური დარგვა-დათესვა.

ამასთან, უნდა შეირჩეს ერთმანეთზე სხვადასხვა გავლენის მქონე კულტურები (ანუ არსებობენ მცენარეები რომლებიც ერთმანეთს ეხმარებიან და პირიქით). ამისი ცოდნა მოგვცემს საშუალებას შევქმნათ სიმბიოზური თანაცხოვრება ჩვენს ნაკვეთზე.

მაგალითად ჩრდილის მოყვარულ კულტურების გვერდით და კულტურების რომლებსაც არ უყვართ ქარი — დაითესება უფრო მაღალი მცენარეები. ასეთი სახით შეიძლება შევქმნათ მიკროკლიმატი და დავიცვათ ნიადაგი გამოშრობისგან და გადახურებისგან.

ურთიერთ დახმარების სხვა ფორმა — ქიმიურია. ამ შემთხვევაში ზემოქმედება ხდება სხვადასხვა ნივთიერებების გამოყოფით მცენარის ფესვებიდან და ფოთლებიდან.

პარკოსანი კულტურების ფესვებთან ბინადრობენ აზოტის შემგროვებელი ბაქტერიები და შესაბამისად სხვა კულტურების ზრდას უწევენ სტიმულირებას.

ოხრახუში კარგია თითქმის ყველა კულტურის გარშემო დაითესოს. ხახვი და ნიორი იცავენ სხვადასხვა მწერებისგან.

ასევეა არომატული მცენარეები მაგალითად ზაფრანა, ბაზილიკი, პირნა, როზმარი ასეთი სახით შერჩეული მცენარეები ურთიერთ დახმარებასთან ერთად ინტენსიურად ავსებენ ბაღს და იძლევიან მაღალ მოსავალს.

ყვარლის მუნიციპალიტეტის გამგებლის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

KA990143190855117

№ 211 — 09 / მარტი / 2017 წ.

**ყვარლის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2017 წლის 2 მარტის #188 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ**

1. შეტანილ იქნას ცვლილება ყვარლის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პრივატიზების მიზნით საჯარო აუქციონის გამოცხადების შესახებ მუნიციპალიტეტის გამგებლის 2017 წლის 2 მარტის #188 ბრძანების დანართის #13 ლოტში, ქ. ყვარელი, სარიტუალო მომსახურების ბიურო (ს/კ 57.06.57.005) შენობა-ნაგებობის ფართობი 111,5 კვ.მ შეიცვალოს 47 კვ.მ-ით.

2. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

3. ბრძანების გასაჩივრება შესაძლებელია გურჯაანის რაიონულ სასამართლოში ერთი თვის ვადაში (მის: ქ. გურჯაანი, სანაპიროს ქ. #24).

საფუძველი: საქართველოს ორგანული კანონის "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 54-ე მუხლის პირველი პუნქტის "ე.ე" ქვეპუნქტი; 61-ე მუხლის მესამე პუნქტის "ა" ქვეპუნქტი; საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლი.

ყვარლის მუნიციპალიტეტის გამგებელი — ილია მხეძალაშვილი

# გასწორება

მიმდინარე წლის 8 მარტის გაზეთ „ყვარლის" მე-4-5 ნომერში ყვარლის მუნიციპალიტეტის განგეობის მიერ გამოცხადებულ აუქციონში გაიპარა მექანიკური შეცდომა, რის გამოც დაშვებული იქნა უზუსტობანი, კერძოდ, ავტომანქანა „მერსედეს ბენცის" საკადასტრო კოდისა და საწყისი ფასის სვეტებში. ამიტომ ხელმეორედ ვაცხადებთ აუქციონის ამ ცხრილს.

| ლოტის № | ქონების დასახელება | გამოშვების წელი | სახელმწიფო ნომერი | საწყისი ფასი (ლარი) | „ბე" (ლარი) | ბიჯი (ლარი) | მონაწილის ბილეთი (ლარი) |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 16. | ავტომანქანა „მერსედეს ბენცი" E320 | 1999 | KAX 997 | 2000 | 400 | 100 | 50 |

# როგორ ავიმაღლოთ იმუნიტეტი?



ვიტამინების ნაკლებობა იწვევს ორგანიზმის იმუნიტეტის დაქვეითებას, ამიტომ პოლივიტამინური ნაყენების ხალხური რეცეპტები სიმხნევეს მოგანიჭებთ, ტვინის მოქმედებას გაააქტიურებს და ტონუსს აგიმაღლებთ.

კუნელის ნაყენი: ნახევარ ჩაის ჭიქა კუნელის ნაყოფს დაასხით 1 ლიტრი მდუღარე წყალი. დადგით დაახლოებით 5-6 საათით ოთახის ტემპერატურაზე, შემდეგ კი 1 ჭიქა ნაყენში გაურიეთ 1 ჩაის კოვზი თაფლი და ჭამის შემდეგ დალიეთ.

მოცვის ნაყენი: 1/4 ჩაის ჭიქა მოცვის ფოთლებს დაასხით 3 ჭიქა ცივი წყალი, დადგით ნელ ცეცხლზე და ადუღეთ ნახევარი საათის განმავლობაში. დალიეთ თბილი, დღეში 2-ჯერ, ჭამის შემდეგ. ეს ნაყენი პოლივიტამინების საბადოა, ასევე, კარგია ნიკრისის ქარის დროს.

დამამშვიდებელი ნაყენი: 4 სადილის კოვზი გვირილის ყვავილი, 4 სადილის კოვზი პიტნის ფოთოლი და 2 სადილის კოვზი ვალერიანის ძირები კარგად აურიეთ ერთმანეთში. ამ ნარევის 1 სადილის კოვზი ჩაყარეთ ჩაის ჭიქაში და შეავსეთ მდუღარე წყლით. გააჩერეთ დაახლოებით 10-15 წუთი, შემდეგ გაწურეთ და დალიეთ თითო ჭიქა, დღეში ორჯერ.

გვირილის მკვებავი ნაყენი: 1 სადილის კოვზ გვირილის ყვავილს დაასხით 1 ლიტრი ადუღებული წყალი და დადგით 20 წუთით. დაუმატეთ შაქარი და ნაღები – გემოვნებით. ეს ნაყენი ორგანიზმისთვის ერთგვარი მკვებავია, ასევე უხდება ნაწლავებს და აწესრიგებს ძილს.

ასკილისა და შავი მოცხარის ნაყენი: თანაბარი რაოდენობით შეურიეთ ერთმანეთს ასკილის ნაყოფი და მოცხარის კენკრა. 2 სადილის კოვზ ნარევს დაასხით 2 ჩაის ჭიქა ადუღებული წყალი და გააჩერეთ ერთი საათით თავდახურული. შემდეგ გადაწურეთ და დაატკბეთ შაქრით. დალიეთ ნახევარი ჭიქა, დღეში სამჯერ. ეს ნაყენი კარგია გაციებისა და ინფექციური დაავადებების დროს.

ასკილისა და ქიშმიშის ნაყენი: გაატარეთ ქიშმიში ხორცსაკეპ მანქანაში, დაასხით მდუღარე წყალი. ადუღეთ 10 წუთით და მიღებულ ნახარშს დაუმატეთ იმდენივე ასკილის ნახარში. დალიეთ ნახევარი ჭიქა დღეში რამდენჯერმე. ეს ნაყენი კარგია მათთვის, ვისაც გულ-სისხლძარღვთა დაავადებები აწუხებს, რადგან ქიშმიშიც და ასკილიც გულის კუნთს ამაგრებს.

ასკილისა და ცირცელის ნაყენი: ერთმანეთში აურიეთ თანაბარი რაოდენობის ასკილი და ცირცელი. 2 ჩაის კოვზ ნარევს დაასხით 2 ჭიქა მდუღარე წყალი. გააჩერეთ დაახლოებით ერთი საათით. შემდეგ გაწურეთ და მიიღეთ დღეში სამჯერ, ნახევარი ჩაის ჭიქა.

ავიტამინოზის დროს: აიღეთ 3-3 სადილის კოვზი ჭინჭრის ფოთოლი და ასკილი. დანაყეთ, დაუმატეთ 2 სადილის კოვზი მოცვი და კარგად აურიეთ. 3 სადილის კოვზ ნარევს დაასხით 2 ჩაის ჭიქა მდუღარე წყალი და დადგით სამი საათით, ოთახის ტემპერატურაზე. სვით დილა-საღამოს, ჭამამდე ნახევარი საათით ადრე. ეს ნაყენი ამდიდრებს ორგანიზმს ყველა ვიტამინითა და მიკროელემენტით.



# ჭინჭარი

ჭინჭარი (ლათ. Urtica) არის ერთი ან მრავალწლიანი მცენარე ჭინჭრისებრთა ოჯახისა. ფოთლები დიდი, კვერცხისებრგულისებრი აქვს, ღეროები სიმაღლით 50-100 სმ-ს აღწევს; ყვავილები წვრილი, მწვანე, ერთსაფარიანი, შეკრებილია უბეებში თავთავისებრ ყვავილედებად. ფოთლები დაფარულია მსუსხავი ბუსუსებით და ხაოებით, რომლებიც დამსხვრევისას და შეხებისას წვრილი ბოლოთი აზიანებენ კანს, გამოყოფენ მომწამვლელ სითხეს, რომელიც იწვევს მწარე ტკივილს, ქავილს და მსუბუქ ანთებით პროცესს. ამის მიუხედავად, ჭინჭარი ძალიან პოპულარული მცენარეა და აქტიურად გამოიყენება როგორც საკვებად, ასევე ხალხურ მედიცინაში.

ჭინჭარი მთელ ევროპაშია გავრცელებული. გვხვდება ზღვის დონიდან 1500 მ ზოგჯერ 2000 მ სიმაღლემდე

საქართველოში ყველგან გვხვდება. იზრდება ტყეებში, ნესტიან ადგილებში, გზისპირებზე, ბაღებში, ეზოების შემოგარენში. იგი გვხვდება ორგანული ნივთიერებებით მდიდარ ნიადაგებზე. ხშირად ქმნის დიდ ნაზარდებს.

ჭინჭრის ფოთლები წარმოადგენს ბუნებრივ პოლივიტამინურ ნედლეულს. ჭინჭრის ფოთოლი შეიცავს ასკორბინის მჟავას, კაროტინს და სხვა კაროტინოიდებს, ჯგუფის ვიტამინებს, ვიტამინს, ჭიანჭველის, პანთოტენის და სხვა ორგანულ მჟავებს. ფოთლებში აღმოჩენილია ქლოროფილი, მთრიმლავი ნივთიერებები, გომიზი, პროტოპორფირინი, კოპროპორფირინი, სიტოსტერინი, გლიკოზიდი ურტიცინი, რკინა, ფიტონციდები, კვერცეტინი, კოფეინის, კუმარის, ფერულის მჟავები, აცეტილქოლინი, ჰისტამინი და 5 ჰიდროქსიტრიფტამინი.

ჭინჭარის ნედლეულს წარმოადგენს ჭინჭრის ფოთოლი — ოლიუმ რტიცაე. ნედლეულად იყენებენ მხოლოდ ფოთლებს, ღეროებისა და ყვავილების გარეშე. ყვავილობის შემდეგ ჭინჭარი კარგავს სამკურნალო თვისებებს.

მას ამზადებენ მაის-ივლისში. ჭინჭრის ღეროებს მოჭრიან მჭრელი იარაღით. რამდენიმე საათის შემდეგ როცა ფოთლები მშუშხავი აღარ იქნება, მათ ხელით მოაცლიან ღეროს. ზოგჯერ თუკი ღეროები წმინდა ბარდიდან არის მოცელილი მას ჯერ მსუბუქად აშრობენ, შემდეგ კი მოაშორებენ ფოთლებს. ჭინჭრის ფოთლების შეგროვებისას დასაშვებია ტყავის, ან ბრეზენტის ხელთათმანების გამოყენება.

ჭინჭრის ფოთლებს აშრობენ სხვენზე, კარგი ვენტილაციის პირობებში, სადაც მას გაფენენ ქაღალდზე ან ქსოვილზე 3-5 სმ-იან ფენად. ნედლეულის მზეზე გაშრობა დაუშვებელია. ხელოვნური შრობისათვის დასაშვები ტემპერატურაა 40-50$^0$C. მშრალი ნედლეულის გამოსავლიანობა შეადგენს 20%-ს ნედლ მასაზე გადაანგარიშებით.

გამშრალ ნედლეულს მოაშორებენ გაყვითლებულ, მურა ფერის და გაშავებულ ფოთლებს, ასევე ცალკეულ ღეროებს, ყვავილებს და სხვა მინარევებს. ჭინჭარის ნედლეული შედგება მოგრძო, წაწვეტებული, თხელი 17 სმ სიგრძისა და 7 სმ სიგანის ფოთლებისაგან, რომლებიც კიდეებზე მსხვილად დაკბილულია, მუქიმწვანე შეფერილობისაა.

ჭინჭრის მზა ნედლეულს ინახავენ 50 კგ-ობით ფუთებში. ინახავენ თაროებზე მშრალ, კარგი განიავების მქონე სათავსოში, სიბნელეში.

ჭინჭარი გამოიყენება როგორც სისხლდენის შემაჩერებელი. იგი აძლიერებს საშვილოსნოს კუმშვით აქტივობას. ეფექტურია მისი გამოყენება კლიმაქტერიული, ჰემოროიდული და სხვა სახის სისხლდენების დროს. ჭინჭრის ექსტრაქტი აწესრიგებს ოვარიულ, მენსტრუალურ ციკლს. მის პრეპარატებს გააჩნია შინაგანი ორგანოების სისხლძარღვებზე პრესორული ზემოქმედება.

გარეგანი ფორმით ჭინჭრის გამხმარი ფოთლები გამოიყენება ფხვნილის სახით, ჩირქოვანი ჭრილობებისა და ვარიკოზული ქრონიკული წყლულების სამკურნალოდ.

ჭინჭარი შეიცავს ბევრ ვიტამინს და ხელს უწყობს სისხლში ჰემოგლობინისა და ერითროციტების მომატებას. ამის გამო მას იყენებენ სისხლნაკლებობის სამკურნალოდ. ჭინჭარის ფოთლები შედის ვიტამინური ნაკრებების შემადგენლობაში, აგრეთვე ჩაების შემადგენლობაში, რომელიც გამოიყენება კუჭ-ნაწლავის დაავადებათა სამკურნალოდ.

ევროპის ქვეყნებში ჭინჭრის პრეპარატებს ხმარობენ ანემიის, ათეროსკლეროზის, რევმატიზმის, თირკმელებისა და შარდის ბუშტის ანთებების, ღვიძლის დაავადებების, ჰემოროის, კანის დაავადებების, პირველი ხარისხის დამწვრობის, თმის ცვენის დროს.

ჭინჭარი უძველესი დროიდან ცნობილია როგორც კვებითი ღირებულების მქონე მცენარე. მისი ნორჩი ფოთლებისაგან ამზადებენ მხალეულს.

ჭინჭარის ბალახი გამოიყენება ფრინველების საკვებად, როგორც ვიტამინიზირებული საკვები. ჭინჭრის ღეროები გამოიყენება უხეში ბოჭკოს დასამზადებლად. მისი ფოთლებისაგან გამოწვლილვით მიიღება ქლოროფილი, რომელსაც იყენებენ მწვანე საღებავების წარმოებაში, ასევე როგორც ფერის მიმცემ საშუალებას ფარმაცევტულ და პარფიუმერულ მრეწველობაში.

ცნობილი შვეიცარიელი ნატუროპატი ვ. შენენბერგერი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა საგაზაფხულო გაჯანსაღებას მცენარეებით, კერძოდ ძალიან აფასებდა ჭინჭარს, ბაბუაწვერას და ნიახურს. გამოკვლევებმა აჩვენეს, რომ ჭინჭრის წვენი ეხმარება ანემიის, ავიტამინოზის, შაკიკის, კანზე გამონაყარის დროს.

ჭინჭრის წვენის ყოველდღიური გამოყენება ძალიან სასარგებლოა ძვლების გასამაგრებლად, ღვიძლის, შარდის ბუშტის, სასუნთქი გზების გასაწმენდად. ამის გარდა ის აუმჯობესებს ბუასილის მდგომარეობას, ეხმარება ისეთ დაავადებებს, როგორიცაა: ათეროსკლეროზი, რევმატიზმი, პოდაგრა, დიაბეტი, პროსტატა, გასტრიტი, გულსისხლძარღვთა დაავადებები.

ჭინჭარს გააჩნია ანტიკანცეროგენური თვისებები, ამიტომ ასეთი დაავადებების დროს, როგორიცაა კუჭის სიმსივნეები და წინამდებარე ჯირკვლის ჰიპერპლაზია, რეკომენდებულია ჭინჭრის თაფლის გამოყენება, რომელიც მზადდება შემდეგნაირად: 1 ლ ახლადდაწურულ ჭინჭრის წვენს დაამატეთ 200 გ თაფლი, მიიყვანეთ დუღილამდე და გადმოდგით. როცა გაცივდება მიიღეთ 1 ს.კ. დღეში 2-ჯერ 1 თვის განმავლობაში.

### ის რაც ჭინჭრის შესახებ არ იცოდით

1. თქვენ წარმოიდგინეთ და ჭინჭარი ერთადერთი საარსებოა ზოგიერთი სახეობა პეპლისთვის.

2. ჭინჭრის ნემსები შეიცავს ჭიანჭველის მჟავას, რომელიც წვავს კანს.

3. ჭინჭრისგან იქსოვებოდა ყველაზე ძლიერი იალქნები. ამომავალი მზის ქვეყნებში კი ჭინჭრის სამკაულები და ასევე ჭინჭრისგან ნაქსოვი სამურაების აბჯარი ერთადერთი მაწარმოებელი მცენარე იყო.

4. ჭინჭრის ოჯახი 60-მდე გვარსა და ათასობით სახეობა მცენარეს მოიცავს, რომლებიც ძირითადად ტროპიკებში იზრდებიან.

5. ჭინჭრის ყველაზე ღირებული ნაწილია ფოთლები, რომლებიც შეიცავს ჩ, და ვიტამინებს, ასევე გვხდება ტანინები და ცილები.

6. ჭინჭრის ფოთლებს ასევე შეუძლია მალე ფუჭებადი პროდუქტების შენახვა, როგორიცაა მაგალითად: ხორცი, თევზი და ა.შ.

7. კვების მრეწველობაში ჭინჭარს გამოიყენებენ, როგორც საღებავი.

8. მიუხედავად მისი სასარგებლო ღირებულებებისა, ჭინჭრის მირთმევა აკრძალულია ორსულებისა და გულის დაავადებების მქონე პირთათვის.

9. დიდ ბრიტანეთში ჭინჭრისგან ღვინოს ამზადებენ. იმისათვის, რომ 3 ათასი ლიტრა ღვინო მიიღონ, საჭიროა მხოლოდ 40 კგ ჭინჭრის ფოთოლი.

10. ტროპიკული ჯიშის ჭინჭარი მავნეა ჯანმრთელობისთვის, ზოგიერთი მათგანი კი იწვევს სიკვდილს.

11. დიდი ბრიტანეთის სოფელ არსჰვუდ-ში კი 20 წელზე მეტია იმართება ჭინჭრის ფესტივალი, თუ ვინ უფრო მეტ ჭინჭრის ფოთოლს შეჭამს. (უმათ თუ მომზადებულს, სამწუხაროდ წყაროში არ იყო მითითებული).

**მოამზადა ია გიგიაშვილმა**

# ევროპაში ადრეული შეტყობინებისა და მონიტორინგის სისტემებით წყალდიდობის დროს ზარალი მინიმუმამდე დაყავთ

**„სანამ არ დავიწყებთ ხარჯვას სწორი კვლევების ჩატარებასა და მონიტორინგის სისტემებში, ნებისმიერი მმართველი განწირული იქნება მსგავსი მოუმზადებლობებისთვის“.**




ევროპაში მოქალაქეებს მოსალოდნელი წყალდიდობებისა და სხვა სტიქიური უბედურებების შესახებ რამდენიმე დღით ადრე აფრთხილებენ. ამერიკის შეერთებულ შტატებში შეტყობინების ნაციონალური სისტემა 1994 წლიდან მოქმედებს, იაპონია კი მოსახლეობის ინფორმირებისთვის ყოველწლიურად მილიონობით დოლარს ხარჯავს. დაზღვეული ამ ქვეყნებშიც არავინაა, თუმცა რისკები მინიმუმამდეა დაყვანილი. ადრეული შეტყობინებისა და მონიტორინგის სისტემების მნიშვნელობა საქართველოს კიდევ ერთხელ მწვავედ შეახსენა მდინარე ვერეს ხეობაში წყალდიდობამ.

ეუგეორგია.ინფო უცხოური გამოცდილებით დაინტერსდა — როგორ აფრთხილებენ მოქალაქეებს, როგორ ხდება რისკების პროგნოზირება და სტიქიური უბედურებების მართვა ქვეყნებში, სადაც მთის მდინარეები მრავლადაა. „რაც არ უნდა იკამათონ, ასეთ მომაკვდინებელ ადგილებზე ადრეული შეტყობინების სისტემა, რაც შეიძლება მალე უნდა დამონტაჟდეს“ — გვითხრა გეომორფოლოგმა გიორგი გოცირიძემ.

2002 წელს ელბასა და დუნაის ადიდებით გამოწვეული ძლიერი წყალდიდობის შემდეგ, ევროკომისიამ შეტყობინების ერთიანი ევროპული სისტემის შემუშავება დაიწყო. ეს სისტემა ევროპის სხვადასხვა ქვეყნიდან დღეში ორჯერ იღებს მონაცემებს ამინდის პროგნოზისა და მდინარეების ნაკადების შესახებ. მიღებული ინფორმაციის საფუძველზე კი ქვეყნების შესაბამის ინსტიტუტებსა და ევროკომისიას შესაძლო წყალდიდობის შესახებ მინიმუმ 3 დღით ადრე აფრთხილებს. საშიშროების კრიტიკული ნიშნულის მიღწევის შემთხვევაში მოქალაქეებს ელექტრონული შეტყობინებებიც ეგზავნებათ.

„სპეციალისტების, ტექნიკის, კარგად გაწერილი პროცედურებისა და სწორად აწყობილი მენეჯმენტის კომბინაცია იძლევა საშუალებას რამდენიმე დღით ადრე მოხდეს შესაძლო განგაშის სიტუაციების შესახებ ინფორმირება და საევაკუაციო გეგმის არსებობის შემთხვევაში, სწორი მენეჯმენტით ხალხის გაყვანა შესაძლო კატასტროფის ადგილიდან. ვერეს მსგავსი ხეობები ნანახი მაქვს შვეიცარიაში, საფრანგეთში, ავსტრიაში, ასევე, ცნობილია ინდონეზიასა და იმ ქვეყნებში, სადაც მუსონური წვიმები ინტენსიურ გავლენას ახდენს მდინარის კატასტროფული ბუნების ფორმირებაზე. ძნელია ყველაფერი გათვალო. შეიძლება ყველაფერი სწორად დაგეგმო, მაგრამ გარდა სწორი დაგეგმვისა, არის საინფორმაციო ანუ ადრეული შეტყობინების სისტემები, რომელიც ასეთ შემთხვევებში, ადამიანთა სიცოცხლის გადარჩენას უზრუნველყოფს“.

ავსტრიაში აქტიურად იყენებენ ხმოვან სირენებს. დღეს ქვეყანაში დაახლოებით 70 ათასი სირენაა დამონტაჟებული და არცერთი დასახლებული პუნქტი შეტყობინების გარეშე არ რჩება. გაფრთხილების სისტემა მოქმედებს საფრანგეთის მთელ ტერიტორიაზე, დაახლოებით 4500 ელექტრონული ან ელექტრომექანიკური სირენის გამოცდა თვეში ერთხელ ხდება. შვეიცარიას 8500 სამოქალაქო თავდაცვის სირენების ქსელი აქვს, რომელსაც შეუძლია მოსახლეობის 99%-ის გაფრთხილება, ასევე, არსებობს კაშხლებთან ახლოს განთავსებული სირენების სისტემა. აშშ-ში კი ტელერადიოკომპანიები და მობილური კავშირის ოპერატორები მოსალოდნელი კატასტროფის შემთხვევაში კოდირებულ სიგნალს იღებენ, მათ კანონი ავალდებულებს მნიშვნელოვანი ინფორმაცია მოსახლეობას ოპერატიულად მიაწოდონ.

მენაშენეთა ასოციაციის თავმჯდომარე ირაკლი როსტომაშვილის თქმით, ვერეს მსგავს მდინარეებს უნდა ჰქონდეს საკუთარი ლაბორატორია, რომელიც მდინარის ქცევას დააკვირდება და შესაბამის შეტყობინებას გაგზავნის, იმ შემთხვევაში თუ მდინარე წვიმის შედეგად ან სხვა მიზეზით ჩაიხერგა. „დაკვირვება ხდება ძირითადად წვიმის დროს. მთის მდინარეს წყლის დებეტი პატარა აქვს და თუ არაწვიმიან დღეს ნაკადი შემცირდა, ესეც სიგნალია, რომ სადღაც ჩაიკეტა და ამას აკვირდებიან. სახელმწიფომ უნდა დაგვიცვას, ჩვენთვის საფრთხეა მდ. ვერე, სადაც გვჭირდება დარაჯი, რომელიც პრევენციას გააკეთებს და დროულად გვეტყვის — ხალხო, წყალი წამოვა მალე და გაიქეცითო. საცხოვრებლებზე უკვე აღარ არის საუბარი, მდინარის ხეობაში ხალხი არ უნდა ცხოვრობდეს“. — ამბობს როსტომაშვილი.

მდ. ვერეს ჰიდროლოგიურ რეჟიმს 1962 წელს გახსნილი ლაბორატორია სწავლობდა, რომელიც 13 ივნისის შემდეგ აღარ არსებობს. წყალდიდობის შედეგად ლაბორატორიის ერთ-ერთი შენობა მთლიანად დაინგრა და განადგურდა აპარატურა. ამ ეტაპზე მაქსიმალური, რაც საქართველოს მონიტორინგისთვის გააჩნია მეტეოროლოგიური სადგურების მცირე ქსელია. „შეიძლება, ერთი ადამიანი იდგეს მთის თავში, მეორე ქვემოთ და ამასაც მონიტორინგის სისტემა ერქვას. შეიძლება ავტომატიზებული იყოს და ყოველ 5 წუთში ერთხელ მოდიოდეს მდინარის დონის ცვალებადობის შესახებ ინფორმაცია ერთიან სისტემაში, რომელსაც ხედავს ყველა ჩართული უწყება, როგორც ეს უცხოეთშია. სხვადასხვა მიდგომაა, რაც უფრო ძვირია და მაღალტექნოლოგიური, მით უფრო ეფექტურია. ასეთი შემთხვევები მოტივია იმისა, რომ გავიღოთ ხარჯები უკეთესი სისტემების დასაყენებლად“.- ამბობს გეომორფოლოგი გიორგი გოცირიძე.



გოცირიძე ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრობლემად სათანადო და სწორი კვლევების ნაკლებობასაც ასახელებს და ამბობს, რომ დეტალური ზონირების რუკის არარსებობა მომავალში ყველა ხელისუფალს მსგავს სიტუაციაში ჩააყენებს.

„ამ ვითარებაში ვერაფერს გავაკეთებდით. ვინც არ უნდა მოვიდეს ხელისუფლებაში და მეორე დღეს აღმოჩნდეს კატასტროფული პროცესის რისკის წინაშე, მას არ ექნება რისკების ზონირების რუკა, რომლის მიხედვითაც დაგეგმავს. სამწუხაროდ, ახლა კარგი მომენტია ამის გასაკეთებლად, უნდა დაიხარჯოს რესურსი, დრო. ხვალ შეიძლება ჩამოწვეს მეწყერი, სადღაც 20 ან 120 კმ-ში, სადაც ასევე არ არის დეტალური ზონირების რისკის რუკა — იქ ვინღა იქნება დამნაშავე? სანამ არ დავიწყებთ ხარჯვას სწორი კვლევების ჩატარებასა და მონიტორინგის სისტემებში, ნებისმიერი მმართველი განწირული იქნება მსგავსი მოუმზადებლობებისთვის. ჩემთვის დაბრალებები მიუღებელია, როდესაც კვლევებისა და ანალიზის მიმართულებით მთელი ერი რაღაც ხაზს მიღმა ვიმყოფებით“. — ამბობს გოცირიძე.

მენაშენეთა ასოაციაციის ხელმძღვანელი ქალაქის ყოფილი მთავარი არქიტექტორი ფიქრობს, რომ დღეს ვერეს ხეობაში სარეკრეაციო ზონა უნდა შეიქმნას, წყლის ნაკადის შეჩერება კი მდინარის აუზში გაკეთებულ რეზერვუარში უნდა მოხდეს, სადაც წვიმის დროს წყალი დაგროვდება, დამბის გაკეთებამდე კი წვიმის დროს მდინარე ვერეში ჩასასვლელი გზები უნდა ჩაიკეტოს.

„როცა მაისსა და ივნისში დიდი წვიმა მოვა, ეს ტერიტორია დაცლილი უნდა გვქონდეს და წვიმის დაწყებისთანავე უნდა დავკეტოთ მდინარეში ჩასასვლელი გზები. ღვარცოფს მიიღებს და გაჩერდება, შესაბამისად, გზაც შეიძლება იყოს და პარკიც, ევაკუაციისთვისაც დრო გაქვს. როცა წვიმები გადაივლის, ამ წყალს ვაკეთებთ წყალსაცავად, იქნება უზარმაზარი ტექნიკური წყლის მარაგიც. წარმოიდგინეთ, ლისის ტბაზე დიდი ტბა, რომლის დაცლასაც მარტში დავიწყებთ, ისევე როგორც ამას ჟინვალი აკეთებს. ამისთვის საჭიროა მენეჯმენტი, რომ წვიმის შესახებ სიგნალის მიღებისთანავე ვიღაცამ გადაკეტოს. ასევე, საჭიროა ლოჯისტიკური და საორგანიზაციო გადაწყვეტა — იქ არავინ უნდა ცხოვრობდეს. ქალაქის ხელისუფლება ასე წარმომიდგენია — არქიტექტურის სამსახურმა აკონტროლო უნებართვო მშენებლობა, რომ იქ მუდმივი საცხოვრებელი არ გაკეთდეს, საინჟინრო სამსახურმა კი აკონტროლოს, რომ სისტემა გამართული იყოს და საჭიროების შემთხვევაში დაიკეტოს. ვერე აგრესიული მდინარეა და წვიმა დაიწყება თუ არა ვერეში ჩასასვლელი გზები უნდა დაიკეტოს, პატრულმა იაროს და ყველა გამოყაროს იმ ტერიტორიიდან, სანამ ეს დამბა გაკეთდება, ასევე, სვანიძის ქუჩაზე ხალხი არ უნდა ცხოვრობდეს, კიდევ რომ წამოვიდეს წვიმა და რამე ჩაიხერგოს ან პირობითად, გადავარდა სატვირთო მანქანა, გაიჭედა გვირაბში, უკვე ჩახერგილია, კიდევ უნდა დაიხრჩოს ხალხი?

2012 წელს კრასნოდარის მხარეში წყალდიდობამ 170-ზე მეტი მოქალაქე იმსხვერპლა. მაშინ გამოძიებამ დაადგინა, რომ ქალაქში საგანგებო მდგომარეობების დროს შეტყობინების სისტემა არ მუშაობდა, რის შემდეგაც რუსეთის პრეზიდენტმა ელექტრონული სისტემის შექმნის განკარგულება გასცა, თუმცა სისტემა დღემდე არ ამოქმედებულა.

სირენებს იყენებენ ჩინეთში, იაპონელებმა კი 2011 წელს მომხდარი ცუნამისა და მიწისძვრის შემდეგ წყნარ ოკეანეში მოწყობილობები განათავსეს, რითაც ხდება ცუნამის წარმოქმნის ადრეული დაფიქსირება.

1953 წელს ევროპის ჩრდილოეთ ნაწილში ძლიერი წყალდიდობის შემდეგ ჩრდილო ატლანტიკურმა ალიანსმა (ნატო) უბედური შემთხვევების დროს დახმარების პირველი სქემა აამუშავა. 1998 წელს შეიქმნა უბედურ შემთხვევებზე საპასუხო ევრო-ატლანტიკური კოორდინაციის ცენტრიც, აღნიშნული ცენტრის მეშვეობით მოხდა დახმარების კოორდინაცია წყალდიდობით დაზარალებულ ქვეყნებში, მათ შორის ალბანეთში, ბოსნია-ჰერცეგოვინაში, ჩეხეთის რესპუბლიკაში, რუმინეთსა და უკრაინაში.

ევროპის ქვეყნებისგან განსხვავებით, 13 ივნისის ღამეს მოსალოდნელი წყალდიდობის შესახებ ვერეს ხეობის მცხოვრებლები არავის გაუფრთხილებია, იმის მიუხედავად, რომ დაახლოებით, ერთი კვირით ადრე მიმდებარე ტერიტორიაზე ძლიერი წვიმის დროს ძაღლების თავშესაფარი დაიტბორა. 13 ივნისის ტრაგიკულმა შედეგმა ადრეული შეტყობინებისა და მონიტორინგის სათანადო სისტემების აუცილებლობა საზოგადოებასაც და ხელისუფლებას კიდევ ერთხელ დაანახა.

**P.S.** ჩვენდა სასიკეთოდ, ჩვენი მშობლიური ქალაქის მოსახლეობა დაცულია მდ. დურუჯის ღვარცოფული საშიშროებისგან. პოლონეთის საელჩოს დახმარებით და ინვესტიციების წყალობით დამონტაჟდა ადრეული შეტყობინებებისა და მონიტორინგის სისტემა. მისი წყალობით, შესაძლო წყალდიდობის შესახებ ინფორმაციას ჩვენ დროულად შევიტყობთ და თავიდან ავიცილებთ 1949 წლის ტრაგიკულ მოვლენებს, რომელთაც ადამიანების სიცოცხლე შეიწირეს.

**მოამზადა ია გიგიაშვილმა**

# ნოდარ ზუბიტაშვილის გახსენება

ორი წელი გავიდა ნოდარ იმ ტრაგიკული დღიდან, როდესაც ჩაქრა შენი ლამაზი სიცოცხლე. ჩვენ არ გვინდა დავიჯეროთ, რომ აქ აღარ ხარ, მაგრამ ვდგავართ შენს საფლავთან და ვხვდებით, რომ ეს სიზმარი არ არის, ვერაფერს ვცვლით, ვხვდებით, რომ ამიერიდან შენს გარეშე მოგვიწევს ცხოვრება. გვიჭირს შენზე წარსულში ლაპარაკი. ყოველ დილით გავხედავთ სკოლის კარებს და ველოდებით, რომ ისევ ხალისიანად შემოაღებ. მაგრამ... შენ მაინც არ ჩანხარ, არ მოდიხარ... ნოდარ, ჩვენ უკვე ორჯერ აღვნიშნეთ შენი დაბადების დღე შენს გარეშე. 18-ის გახდი. წელს შენი ნანატრი წელი დადგა. ახლა მე-12 კლასში უნდა იყო და ემზადებოდე სკოლის დასამთავრებლად. შენი კლასელები უშენოდ ვემზადებით ამ დღისთვის, მაგრამ შენ ძალიან, ძალიან გვაკლიხარ და გვენატრები... რომ არა ის ტრაგიკული დღე, სულ სხვაგვარად იქნებოდა ყველაფერი. ამ დღემ შენი თავი წაგვართვა. შენ წახვედი... წახვედი და ყველას სიცარიელე დაუტოვე გულში. ნოდო, შენდა უნებურად თან წაიყოლე დედაშენის ღიმილიც, რომელიც ძალიან გიყვარდა. მას ენატრები... ენატრება შენი სახე, შენი ხმა. დედისთვის ხომ შვილზე ძვირფასი არაფერია. 16 წელი იყავი წუთისოფელში და ამ დროის მანძილზე არავინ დარჩენილა შენგან ნაწყენი. პირიქით, შენი სიკეთე და თანადგომა ძალიან ბევრს ტკბილ სახსოვრად დაუტოვე.



ნოდარ, იცოდე, შენს ხსოვნას დავიწყება არ უწერია. შენი სიცოცხლე მოკლე იყო, მაგრამ სიყვარულით სავსე, ცოტა იცოცხლე მაგრამ სამუდამოდ დატოვე სიყვარულის კვალი ჩვენს გულებში.

მსუბუქი იყოს შენს გულზე დაყრილი მიწა. უფალმა ნათელში ამყოფოს შენი ლამაზი სული.

**კლასელები**

**ყვარლის ყოფილი სკოლა-ინტერნატის პედკოლექტივი ღრმა მწუხარებით იუწყება ყოფილი პედაგოგის, დამსახურებული მასწავლებლის თამარ (ცაცო) მეგზევიშვილის გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ მის ოჯახს.**

# 6 შეცდომა, რომელსაც სადილის დროს ვუშვებთ — ეს უნდა ვიცოდეთ!

საფრანგეთში, ქვეყანაში, რომელიც უამრავი დიეტის სამშობლოდაა ცნობილი, ხალხი მეტად ფიქრობს არა იმაზე, როგორ დაიკლონ წონაში, არამედ — როგორ შეინარჩუნონ ჯანმრთელობა. რადგან სწორედ ჯანმრთელი კუჭი გვიწყობს ხელს ფორმის შენარჩუნებაში და არა შიმშილი. ფეხზე წახემსება, ცხიმიანი საჭმელი, გაზიანი სასმელი...ბევრს წარმოდგენაც კი არა აქვს რამხელა სტრესს აყენებს ეს ყველაფერი ჩვენს ორგანიზმს. ამ დროს სულაც არ ვფიქრობთ იმაზე, თუ რას ვჭამთ და უბრალოდ ვცდილობთ „მუცელი გავივსოთ“. შედეგად ვიღებთ მინიმუმ სიმძიმის შეგრძნებას და ძილიანობას.

ფლორანს ფუკო, დიეტოლოგთა ფრანგული ასოციაციის წევრი ჟურნალ „ფიგაროში“ ყვება იმ ყველაზე უხეშ შეცდომებზე, რომლებსაც ადამიანები სადილობის დროს უშვებენ.

**შეცდომა №1. სადილობას 30 წუთზე ნაკლებს ვანდომებთ.**

რატომ უნდა დავხარჯოთ ჭამაზე ამდენი დრო, როცა ისედაც მთელი დღე გადარბენაზე ვართ და უამრავი რამ გვაქვს მოსასწრები? საქმე ის არის, რომ ჩვენი „დანაყრების“ ბუნებრივი მექანიზმი ჭამის დაწყებიდან მხოლოდ ნახევარი საათის შემდეგ ირთვება. ამიტომ, სწრაფი და დიდი ლუკმებით ჭამის დროს კუჭს დამატებით სამუშაოს ვუქმნით. შედეგიც არ აყოვნებს და სიმძიმისა და გულისრევის შეგრძნება გარანტირებული გვაქვს.

**შეცდომა №2. ჭამის დროს ვსვამთ წყალს.**

საჭმელს თითქმის ყოველთვის ვაყოლებთ წყალს, კომპოტს ან სხვა სასმელს. სითხე კუჭს აფართოებს და გვიქმნის დანაყრების შეგრძნებას მაშინ, როცა სინამდვილეში ისევ გვშია. შედეგად, შიმშილი ისევ სწრაფად გვიბრუნდება და წახემსების სურვილი გვიჩნდება. ამიტომ, წყლისა და სხვა სითხის მიღება სჯობს სადილამდე და არა სადილის დროს.

**შეცდომა №3. ვსვამთ გაზიან სასმელებს და შაქრიან ჩაის.**

ჩვენ ვსვამთ ტკბილ გაზიან სასმელებს და შაქრიან ჩაის/ყავას, რაც აძლიერებს კუჭის წვენის გამოყოფას და ხელს უშლის საკვების მონელებას. „ეს საუკეთესო საშუალებაა დღის მეორე ნახევრის გასაფუჭებლად“ — ამბობს ექიმი ფუკო. თუ თქვენი ჯანმრთელობა თქვენთვის ძვირფასია, მიიღეთ დღის მანძილზე უბრალო წყალი.

**შეცდომა №4. უარს ვამბობთ პურზე.**

ძალიან ბევრი უარს ამბობს პურზე და კმაყოფილდება მხოლოდ ბოსტნეულის სალათით იმ იმედით, რომ ასე წონაში დაიკლებს. ეს შეცდომაა! სინამდვილეში სახამებლის შემცველ პროდუქტთან (ბრინჯი ან პური) ერთად — ბოსტნეული ქმნის ერთგვარ „შიმშილის საწინააღმდეგო ფარს“, რომელიც სისხლში შაქრის დონეს არეგულირებს. ამ „ფარის“ წყალობით დღის მეორე ნახევარში ტკბილი აღარ მოგინდებათ.

**შეცდომა №5. უარს ვამბობთ ცივ კერძებსა და დესერტზე.**

ჩვენ ვთვლით, რომ სადილზე ძირითადი კერძი საკმარისია და ამგვარად უფრო მსუბუქად ვიქნებით. მაგრამ დიეტოლოგები გვირჩევენ სადილი სტრუქტურული იყოს: სადილის დასაწყისში უნდა მივირთვათ ცოტა ცივი კერძი, დასასრულს კი — მსუბუქი დესერტი. უნდა მივიღოთ ცოტ-ცოტა და სხვადასხვა ტიპის საკვები. „სტრუქტურული სადილი“ დაგვეხმარება „გაბერილი მუცლის“ შეგრძნების თავიდან აცილებაში და შეგვიქმნის ბუნებრივი დანაყრების გრძნობას, რადგან გაგრძელდება 30 წუთზე მეტ ხანს.

**შეცდომა №6. ერთად ვილებთ ცხიმებსა და ნახშირწყლებს.**

სადილის დროს ტკბილისა და ცხიმიანის გაერთიანებით, კუჭისთვის ძალიან მავნე ნაზავს ვქმნით. შაქარი ხელს უწყობს სეროტონინის გამოყოფას, რომელიც თავის მხრივ იქცევა მელატონინად — ძილის ჰორმონად — და იწვევს ძილიანობას. ცხიმი კი, ცილისგან განსხვავებით, ანელებს პერისტალტიკას, რადგან მათი მონელებისთვის მეტი დროა საჭირო. ამიტომ, უარი თქვით ცხიმიან სოუსებზე და ცხიმით მომზადებულ დესერტებზე. სენდვიჩში ჩადეთ მეტი ქათმის ხორცი და ძალიან ცოტა მაიონეზი. პური მიირთვით არა თეთრი, არამედ დაღერღილი ხორბლის, — გვირჩევს ექიმი ფუკო.



# ფრენბურთი — უმაღლესი ლიგა

## ყვარელი ეროვნული ჩემპიონატის ლიდერობას ინარჩუნებს



15-19 მარტს ყვარელში გაიმართა საქართველოს 26-ე ეროვნული ჩემპიონატის მეორე ტური ფრენბურთში უმაღლესი ლიგის ვაჟთა გუნდებს შორის.

როგორც ჩვენი რაიონის სპორტის მოყვარულებს ადრე უკვე ვაცნობეთ, თბილისში გამართული პირველი ტურის შემდეგ სპორტული კლუბი „ყვარელი“ სათავეში ჩაუდგა ეროვნულ ჩემპიონატს. აქედან გამომდინარე, ჩვენი ფრენბურთელების ამოცანა იყო საკუთარ კედლებში წარმატებით თამაში და მოპოვებული პოზიციების კიდევ უფრო განმტკიცება.

უნდა ითქვას, რომ დასახული პროგრამა წარმატებით იქნა შესრულებული. ჩვენმა გუნდმა ძლიერად ჩაატარა ტურნირი და ასპროცენტიან შედეგს მიაღწია — ხუთივე თამაში მოიგო, რითაც დამაჯერებლად გაიმყარა ჩემპიონატის ლიდერის პოზიციები.

პირველ შეხვედრაში ჩვენმა ფრენბურთელებმა დაამარცხეს თბილისის სტუ — 3:2. აღსანიშნავია, რომ პირველი ორი პარტიის შემდეგ, როცა ანგარიში 2:0 იყო ჩვენს სასარგებლოდ, გუნდმა ნაადრევად ირწმუნა გამარჯვება და ოდნავ მოეშვა. ნაადრევმა თვითდამშვიდებამ კი შესაბამისი შედეგიც მოიტანა — ყველასთვის მოულოდნელად დავთმეთ მომდევნო ორი პარტია და ანგარიში გათანაბრდა — 2:2, თუმცა მეხუთე გადამწყვეტ პარტიაში შანსი აღარ დავუტოვეთ მეტოქეს — 15:11.

შემდგომ შეხვედრებში უპრობლემოდ დავაყრევინეთ ფარ-ხმალი თბილისის ოლიმპიური ცენტრის გუნდს — 3:1. ბოლოს კი, შეუპოვარი წინააღმდეგობის მიუხედავად, დავამარცხეთ საგრძნობლად მომძლავრებული და აღმავლობით მოთამაშე ქუთაისი — 3:2. სხვათა შორის, აქაც იჩინა თავი მოწინააღმდეგის ერთგვარი შეუფასებლობისა და თვითდამშვიდების სინდრომმა, რამაც წაგვაგებინა კიდეც ორი პარტია, თუმცა მეხუთე პარტიაში უშანსოდ დავაჩოქეთ მეტოქე — 15:8.

ამრიგად, ორი ტურის შემდეგ ყვარელმა 24 ქულა მოაგროვა და დამაჯერებლად ლიდერობს ეროვნულ ჩემპიონატს. მეორე ადგილზე 17 ქულით იმყოფება თბილისის სტუ. ჯერჯერობით მესამეა ქუთაისი — 16 ქულა, მეოთხე — ბათუმი — 14 ქულა. 12 ქულა მოაგროვა ცაგერმა, ხოლო 7 ქულა თბილისის ოლიმპიურმა ცენტრმა.

ამის შემდეგ, აპრილის შუა რიცხვებში, თბილისში გაიმართება ჩემპიონატის მესამე ტური, რის შემდეგაც, საბოლოოდ გაირკვევა პირველი ოთხეულის ვინაობა, რომლებიც ფინალურ ეტაპზე გააგრძელებენ საპრიზო ადგილებისათვის ბრძოლას. თუ გადავხედავთ სატურნირო ცხრილს და გავითვალისწინებთ ძალთა რეალურ თანაფარდობას, დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ ყვარელს პრაქტიკულად უკვე განაღდებული აქვს ადგილი პირველ ოთხეულში. თანაც ოთხეულში ჩვენი გუნდის პირველი პოზიციიდან შესვლას უკვე ვეღარაფერი დაუდგება წინ. ხოლო ვინ იქნება დანარჩენი სამი, ეს უკვე მესამე ტურში გაირკვევა. ჩვენი შეხედულებით, ოთხეულში აუცილებლად შევა თბილისის სტუ, ხოლო ქუთაისს, ბათუმსა და ცაგერს თანაბარი შანსები უნდა ჰქონდეთ დარჩენილი ორი ადგილისათვის ბრძოლაში. თუმცა არ უნდა გამოვრიცხოთ სხვა ვარიანტებიც. ყველაფერი ეს უახლოეს მომავალში გაირკვევა.



ახლა ჩვენი გუნდი კარგ კონდიციებში იმყოფება და მთავარია სპორტული ფორმის შენარჩუნება ჩემპიონატის გადამწყვეტი ეტაპის წინ. რა თქმა უნდა, ჩვენ ყველაფერს ვილონებთ იმისათვის, რომ სრულ მზადყოფნაში ვიყოთ და კარგად დაწყებული საქმე ღირსეულად დავაგვირგვინოთ.

ყვარელში დასრულებულ მეორე ტურში ჩვენი გუნდის შემადგენლობაში გამოდიოდნენ: გიორგი ექიზაშვილი (გუნდის კაპიტანი), მამუკა ბერიაშვილი, რეზო წიკლაური, დათო დათეშიძე, ლაშა ბეჟანიშვილი, რევი ჩიტაშვილი, გიორგი ლუხოშვილი, ვალერი ცისკარიშვილი, ვანო დვალი, ირაკლი ცინცაძე, გოგა ბუაძე, ნიკა ნარეკლიშვილი, გიორგი გერლიანი, რეზო რევიშვილი.

**ალიმან ლაფაჩიშვილი**

# ზურაბ იაკობიშვილი კვლავ საქართველოს ჩემპიონია



5-7 მარტს ქ. თბილისში ჩატარდა საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი თავისუფალ ჭიდაობაში, სადაც მონაწილეობას იღებდნენ საქართველოს უძლიერესი მოჭიდავეები. ჩვენი რაიონიდან ამ სახეობის სპორტის ღირსებას იცავდა ყვარლის რაიონის თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ნაკრები გუნდი. ამ ჩემპიონატით ზურაბ იაკობიშვილმა დაიმკვიდრა ადგილი, შემდგომში ევროპის და მსოფლიო ჩემპიონატებზე მონაწილეობის მისაღებად. მან სულ 4 შეხვედრა ჩაატარა და ოთხივე შეხვედრა დაამთავრა თავის სასარგებლოდ. იგი ეპაექრა საქართველოს ნაკრების წევრს მათიაშვილს, გამოცდილ სპორტსმენს ლევან ქელეხსაშვილს, აკაკი მოწონელიძეს, ხოლო ფინალური შეხვედრა ჩაატარა გორელ, გამოცდილ სპორტსმენთან კონსტანტინე ხაბალაშვილთან, რომელსაც მოგების არავითარი შანსი არ მისცა და 5:0 დაამარცხა. საქართველოს ნაკრები თურქეთის ნაკრებთან ერთად ორკვირიან საწვრთნელ შეკრებაზე ივარჯიშებს თურქეთის რესპუბლიკაში. შემდეგ ჩვენი სპორტსმენები მონაწილეობას მიიღებენ ბულგარეთის დიდ საერთაშორისო ტურნირზე თავისუფალ ჭიდაობაში, რომელიც გაიმართება დედაქალაქ სოფიაში, ხოლო მაისის თვეში გაემგზავრებიან ევროპის ჩემპიონატზე, რომელიც გაიმართება სერბეთის ქალაქ ჟრენალში. ისღა დაგვრჩენია წარმატებები ვუსურვოთ ჩვენს მოჭიდავეებს.

საინტერესოა, რომ ამ ჩემპიონატში სხვა მოჭიდავეებისგან განსხვავებით (ასაკით ყველაზე პატარები) ჭიდაობის ლამაზი სანახაობა აჩვენა და მეხუთე ადგილი მოიპოვა 18 წლის ნიკა ბუშელაშვილმა, — მას სულ ცოტა დააკლდა, რომ გამხდარიყო ბრინჯაოს მედლის პრიზიორი. იგი ნახევარფინალში გავიდა, მაგრამ ევროპის, მსოფლიოსა და ოლიმპიური თამაშების ჩემპიონთან ვლადიმერ ხინჩაკაშვილთან დამარცხდა. ხოლო ბრინჯაოს მედლის მოსაპოვებლად თანაბარ ბრძოლაში შეხვედრა დათმო გიორგი რევაზიშვილთან, დაიკავა მეხუთე ადგილი, რაც ნიკა ბუშელაშვილისთვის წარმატებად უნდა ჩაითვალოს. (მწვრთნელები გივი მეტრეველი, ვანო ჭანტურიძე, მალხაზ როზომაშვილი).

**დალი ტატულიშვილი**

# 16 წლიანი პაუზის შემდგომ საქართველოს ჩემპიონი კრივში გახდა იოსებ ჭუნიაშვილი



ერთ წელზე მეტია გასული, რაც ყვარლის სპორტსკოლაში, სპორტის სახეობას კრივში სათავეში ჩაუდგა ახალგაზრდა, ენერგიული და თავისი საქმის მცოდნე 25 წლის მწვრთნელ-მასწავლებელი კახა ზაუტაშვილი. სპორტის ამ სახეობაში 6-7 წლის ასაკიდან მოყოლებული ჩვენი რაიონის სულ 30 მოსწავლეა ჩართული. 16 წელია რაც ყვარელს არ ჰყოლია საქართველოს ჩემპიონი კრივში. ჩვენად სასიხარულოდ უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს ჩემპიონატი, რომელიც მიმდინარეობდა ქ. გორში 28 თებერვლიდან 4 მარტამდე, საქართველოს ჩემპიონი კრივში გახდა ჩვენი რაიონის მკვიდრი, ყვარლის მეორე საშუალო სკოლის მოსწავლე, 15 წლის იოსებ ჭუნიაშვილი. ეს ჩემპიონატი მიმდინარეობდა 2001-2002 წლებში დაბადებულ მძიმე წონიან სპორტსმენს შორის (80 კგ). პირველი ორთაბრძოლა მოუწია ადგილობრივ გორის წარმომადგენელთან, რომელიც წარმატებით დამთავრდა მის სასახელოდ. მეორე შეხვედრა იოსებმა გამართა ზუგდიდის წარმომადგენელთან და ასევე წარმატება იზეიმა. მესამე ნახევარფინალური შეხვედრა ჰქონდა ზესტაფონელ მოკრივესთან, ხოლო ფინალში შეხვდა თბილისელ მოკრივეს. ეს ბოლო ორივე შეხვედრა დამთავრდა იოსების სასარგებლოდ, დაიკავა პირველი ადგილი და გახდა საქართველოს ჩემპიონი.

ამჟამად, თორმეტდღიან შეკრებაზე საქართველოს ნაკრებთან ერთად ჩვენი მოკრივე იმყოფება საწვრთნელ შეკრებაზე თბილისში, რის შემდეგაც ჩატარდება მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონატი, სადაც მონაწილეობას მიიღებს ჩვენი ჭაბუკი მოკრივე. ვისურვებთ, რომ წარმატებით დაუბრუნდეს თავის მშობლიურ რაიონს. უნდა აღინიშნოს, რომ არც თუ დიდი ხნის წინ სპორტის ამ სახეობის მწვრთნელი გახლდათ ლერი გაგნიძე. მის ხელშიც არაერთ წარმატებულ მოკრივეს გაუვლია და დღესაც, რომ იოსებ ჭუნიაშვილი საქართველოს ჩემპიონია, არა მარტო ჩემი, არამედ ლერი გაგნიძის დამსახურებაცაა, — აღნიშნა ჩვენთან საუბარში ყვარლის სპორტსკოლის სპორტის სახეობა კრივის მწვრთნელ-მასწავლებელმა კახა ზაუტაშვილმა.

**დალი ტატულიშვილი**

# ბავშვთა ემოციებით დატვირთული ზღაპარი

მომავალი თაობის სწორად აღზრდა თვითეული ჩვენთაგანის ვალია. ეს რომ ასეა, ამაზე მეტყველებს ბოგირის ტერიტორიაზე ამჟამად მოქმედი ახალი ბაგა-ბაღი „გვირილა“, რომლის კედლებშიც მრავალი პატარა გაიზრდება და რომელთაც იმ ხნის მანძილზე არაფერი მოაკლდებათ. ყველას კარგად გვახსოვს უწინდელი „გვირილას“ ისტორია, საკმაოდ მოძველებული და შელახული შენობის გვერდით ახალი ბაგა-ბაღის ამოქმედება მიმდინარე წლის 30 იანვარს დაიწყო. ბაღს გამგედ სათავეში ჩაუყენეს გამოცდილი პედაგოგი ქალბატონი მაია ქაქალაშვილი. ბაღში აღრიცხვაზეა 75 ბავშვი, აქედან 25 — პატარა ასაკის, 25 სასკოლო და 30 — საშუალო ასაკის. ემსახურებათ სამი აღმზრდელ-მასწავლებელი — სამ დამხმარე მასწავლებელთან ერთად. ბავშვები უზრუნველყოფილნი არიან სამჯერადი კვებით — კვირაში სამჯერ ხორციანი კერძებით უმასპინძლდებიან პატარებს, კარაქი, ჩაი, კაკაო, ხაჭაპური, ღვეზელი, პეჩენია და სხვა მათი კერძების რაციონია. შეხვალთ შენობაში და თვალს არ დაუჯერებთ, რომ ეს ბაგა-ბაღი „გვირილაა“, თავისი ახალი ინვენტარით, — დგამ ავეჯით, გათბობით, ცხელი თუ ცივი წყლით. ჯერ-ჯერობით ნაწილობრივ მოსაგვარებელია ეზოში არსებული ატრაქციონის საკითხი. ბოგირ-კაზარმის ტერიტორიაზე, ყოფილი მესამე სკოლის ადგილზე გაშენებულ სპორტულ-გამაჯანსაღებელ კომპლექსს ეს ახალი ბაღიც შეემატა და პატარებისთვის და მოზრდილებისთვისაც ერთ-ერთი გასართობი ცენტრიც გახდა. ჩვენი ამ ლამაზ ბაღში მისვლა კი ერთმა გარემოებამ განაპირობა. ყვარლის კულტურის სახლთან არსებულ თოჯინების თეატრს ბავშვებისთვის „წითელ ქუდას“ ზღაპარი უნდა დაედგა. სპექტაკლის დაწყებამდე ოთახები ბავშვების ჟრიამულით დაიფარა. ზღაპარი იწყება იმით, რომ დედამ წითელქუდა გაგზავნა თავის ბებიასთან, რომელიც არცთუ ახლოს ცხოვრობდა და ტყე უნდა გაევლო. გზად ნაზუქები, ნამცხვრები და რა აღარ გაატანა. გზად მიმავალმა ყურცქვიტამ წითელ ქუდას ურჩია, ფრთხილად ყოფილიყო, რომ იქ, იმ გზაზე მგელი დაიარებოდა და მისი მსხვერპლი არ გამხდარიყო. მაგრამ...

ერთხელ მგელი წინ გადაეღობა წითელქუდას და მისი შეჭმა უნდოდა. ერთხელ-ორჯერ და მგელი ბებიის კარსაც მიადგა და მისი შეჭმაც მოისურვა. ის იყო მგელი ორივეს შეჭმას უპირებდა, რომ მონადირეებიც გამოჩნდნენ. მგელი შეიპყრეს და ავი დღე დააყენეს. ბავშვების ემოციებმა დაისადგურა მთელს დარბაზში. სცენაზე აწ გარდაცვლილი მსახიობის, ომარ მათიკაშვილის მიერ განსახიერებული ცბიერი და ბრაზიანი „მგლის“ ხმა კვლავ ფარავდა იქაურობას. (ნათელში ამყოფოს უფალმა მისი სული). ზოგი შიშით, ზოგი სიხარულით უყურებდა სპექტაკლს. ბევრმა აღსაზრდელმა დარბაზი ტირილით და ვიშვიშით დატოვა. ჩვენც, უფროსებმა მათნაირი ემოციებით განვიცადეთ ზღაპრის ისტორია, რომელიც კეთილად დამთავრდა. მონადირეებმა მგელი შეიწყალეს, არ მოკლეს, ცოცხალი დატოვეს. მგელმა კი ფიცი დადო, რომ ამიერიდან მსგავს სიბოროტეს აღარ ჩაიდენდა. ბავშვებმაც გაიხარეს, რომ სცენაზე ყველა გმირი ერთნაირად იხილეს და



ტაშის შეძახილით გააცილეს ზღაპრის გმირები. ისე, რომ ამჯერად სიკეთემ გაიმარჯვა ბოროტებაზე. ჩვენი პატარებისთვისაც ხომ ეს არის მთავარი — რომ კარგის კეთება თავიდანვე ჩავუნერგოთ, რათა შემდგომში აკეთონ სიკეთე და მხოლოდ სიკეთე. ასე ლამაზად მიიტანეს ეს ზღაპარი პატარებამდე ყვარლის კულტურის სახლთან არსებულმა თოჯინების თეატრის მსახიობებმა ია წყალობაძემ, ნაზი თოფალაშვილმა, ლალი ჭანიძემ. მუსიკალური გამფორმებელი გახლდათ ალიკა ჩიხიაშვილი. გამომშვიდობებისას მთელი ბაღის პედკოლექტივმა გვთხოვა ჩვენი გაზეთის საშუალებით მადლობა ეთქვათ ყვარლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გამგებელის ილია მზექალაშვილის და იმათ მიმართ, ვინც მონაწილეობა მიიღო, გაისარჯა და ვინც ეს ლამაზი და დიდი საჩუქარი უბოძა ჩვენს მომავალ პატარა თაობას. ისიც დასძინეს, — „მართალია მცირე ფინანსური ანაზღაურება გვაქვს ამჯერად, მაგრამ მაინც კმაყოფილები ვართ იმით, რომ ჩვენი პატარები ამ ლამაზ გარემოში დაიზრდებიან. მადლობა თქვენ ყოველივე ამისთვის“. უფრო ბედნიერები ვიქნებოდით, რომ ამ ყველაფერს მოსწრებოდა ბაგა-ბაღ „გვირილას“ ყოფილი გამგე, ქალბატონი ცირა ფირანიშვილი, რომელიც წლების განმავლობაში იბრძოდა, რათა ის მოძველებული შენობა შეცვლილიყო ახლით. სამწუხაროა, რომ ეს სიხარული ჩვენთან ერთად მან ვერ გაიზიარა. ვერაფერს იზამ... წუთისოფელი ხომ ასეა.

ყვარლის კულტურის სახლთან არსებული თოჯინების თეატრის მსახიობები სპექტაკლის ჩვენებას ამ დღეებში რაიონის სხვადასხვა ბაგა-ბაღებსა თუ სკოლებში გააგრძელებენ და გულს გაუხარებენ პატარებს.

**დალი ტატულიშვილი**

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. დამფუძნებელია ყვარლის მუნიციპალიტეტის საკრებულო, ხოლო გამომცემელი შპს „მედია ცენტრი“. გაზეთში გამოქვეყნებული წერილების ავტორთა თვალსაზრისი შესაძლოა არ ემთხვეოდეს რედაქციისას. ავტორები თვავად აგებენ პასუხს მასალაში მოტანილი ფაქტების, არგუმენტებისა თუ ციტატების სიზუსტეზე. შემოსული წერილები ავტორებს არ უბრუნდებათ.

დირექტორი
ალექსანდრე გიგილოშვილი
მოადგილე
ნუგზარ ლონიაშვილი

პასუხისმგებელი მდივანი
ია გიგიაშვილი
კორესპონდენტი
დალი ტატულიშვილი

რედაქციის მისამართი:
ქ. ყვარელი, კუდიგორის №2
საკონტაქტო ტელეფონი:
22-01-86